№ 6
(11 258)
26 – 28 იანვარი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ჩემში ქართული გენიც არის და ეს გენი იმდენად ძლიერია, რომ ჩემს ოჯახში დღეს ქართულსაც გაიგონებთო" – უთქვამს დი სტეფანოს

(იხ. მე-3 გვ.)



მარცხნიდან – ალფრედო დი სტეფანო, ვლადიმერ ბარქაია, ლევან ნოდია.

# რა 28 მილიონი, რის 28 მილიონი...

## სასამართლო

„ბრალდების მოსაზრებები ვერ გავიზიარე, ამიტომ გამოვიტანე გამამართლებელი განაჩენი" – ასეთი სიტყვებით გაუკეთა კომენტარი თბილისის დიდუბის რაიონის მოსამართლე მიხეილ კოტრიკაძემ გუშინ მისი თავმჯდომარეობით გამართულ სასამართლო სხდომას.

დიახ, როგორც იქნა დასრულდა შპს თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის თანამდებობის პირთა სასამართლო პროცესი, რომელიც თითქმის ნახევარ წელს მიმდინარეობდა. მართალია, სახელმწიფო ბრალმდებელმა, პროკურორმა პაატა კობალაძემ განსასჯელების – მერაბ ჟორდანიას, მერაბ რატიანის, ვალერი შალიკაშვილისა და ნაზი მამეიანის ბრალეულობა დაადასტურა და საქართველოს 186-ე მუხლის მეორე ნაწილითა და 191-ე მუხლით თითოეულისთვის ორწლიანი თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა, ყბადაღებული 28 მილიონი ლარის დაკარგვის ამბავი, გაბერილი საპნის ბუშტივით გასკდა.

# სტეფანიასთან კონტრაქტი ხელმოწერილია

ადრე შეგატყობინეთ, ქართველი კალათბურთელის ვლადიმერ სტეფანიას ლიუბლიანის „ოლიმპიადან" ნბა-ს „სიეტლ სუპერსონიქსში" გადასვლის შესახებ, თუმცა ისიც დავსძინეთ, რომ ჩვენებურს კონტრაქტზე ხელი მოწერილი არ ჰქონდა.

„ლელოს" კორესპონდენტმა სიეტლში დენი ბურნემ სტეფანიას თაობაზე შემდეგი გვაცნობა: სამწლიანი კონტრაქტი ხელმოწერილია და მისი ღირებულება 1,7 მილიონი დოლარია. წლეულს ქართველი ლეგიონერი 543 ათას დოლარს მიიღებს, შემდეგ კი ყოველ წელს თანხა 10 პროცენტით გაიზრდება.

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატი 5 თებერვალს დაიწყება, მანამდე „სიეტლმა" ორი ამხანაგური მატჩი უნდა გამართოს: 28 იანვარს – „პორტლენდთან", 30-ში კი – „ვანკუვერთან".

# ბლატერი ყოფილ საბჭოელებს შეხვდა და „შჩელკუნჩიკითაც" შეიქცია თავი

**„ლელოს" მოსკოველი კორესპონდენტი არკადი სმირნოვი იტყობინება:**

23 იანვარს დღის 4 საათზე ციურიხიდან მოსკოვში ჩამოფრინდა ფიფას პრეზიდენტი იოზეპ ბლატერი. მან მონაწილეობა მიიღო „თანამეგობრობა-99"-ის თასის ასპარეზობის გახსნაში, დაესწრო კიევის „დინამოსა" და რიგის „სკონტოს" მატჩს.

მეორე დღეს მაღალჩინოსანი სტუმარი შეხვდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების ხელმძღვანელებს, სადაც საქართველოს წარმოადგენდა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვალერი ჩოლარია. ნაშუადღევს „ლუჟნიკების" პრესცენტრში ბლატერი ესაუბრა ჟურნალისტებს, ხოლო საღამოს დიდ თეატრში ბალეტ „შჩელკუნჩიკითაც" შეიქცია თავი.

## პრობლემები და კადრები

# როლანდ ხომერიკი დუდუ დადიანმა შეცვალა – მთავარია, რა შეიცვლება

როლანდ ხომერიკს – ბოლო წლებში საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, არაერთხელ განუცხადებია შინაურ წრეში, რომ ალბათ მალე გადადგებოდა თანამდებობიდან. მიზეზებს არ აკონკრეტებდა, ალბათ იმიტომ, რომ წუწუნი არასდროს სჩვეოდა და თავის საქმეს მუდამ პირნათლად და ერთგულად ემსახურებოდა. იგი ავტორიტეტულად აღიარეს არა მხოლოდ ჩვენში, არამედ საერთაშორისო საკალათბურთო სამყაროში.

– მე მივდივარ, მაგრამ უკალათბურთოდ არ მიცხოვრია და ვერც ვიცხოვრებ, მხარში დავუდგები ახალგაზრდა ენერგიულ კაცს – დუდუ დადიანს, – თქვა როლანდ ხომერიკმა მას შემდეგ, რაც თანამდებობიდან გადადგომის შესახებ ოფიციალურად განაცხადა ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე და იმავე სხდომამ მის შემცვლელად ახლო წარსულში ცნობილი კალათბურთელი დუდუ დადიანი დაამტკიცა.

ახალმა ვიცე-პრეზიდენტმა კი თავის მხრივ განაცხადა, რომ კალათბურთი მისი ცხოვრების ნაწილია, აქვს უამრავი ჩანაფიქრი, რომლის ხორცშესხმას დაუყოვნებლივ შეუდგება.

ოცნება და ახალგაზრდობა სინონიმებია. იქნებ ახალგაზრდა მეოცნებე სპეციალისტმა შეძლოს ის, რაც დაბრძენებულ ფუნქციონერისთვის მიუწვდომელი გამოდგა. მაგრამ თუ ვერ შეძლო! მაშინ ალბათ ყველასთვის საცნაური გახდება, რომ კალათბურთი საქართველოში აღარავის აინტერესებს და ამის შეგრძნება ახალგაზრდა ვიცე-პრეზიდენტისთვის უფრო დიდი იმედგაცრუება და მძიმე გადასატანი იქნება, ვიდრე თმაშევერცხლილი წინამორბედისთვის...

## სოკში სკანდალის გამო

# კორუფცია დასტურდება, სამარანჩი ბოდიშს იხდის...

როგორც ადრე ვიუწყებოდით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მაღალჩინოსანთა დიდ ჯგუფს ედება ბრალი კორუფციაში. სოკის შტაბბინაში სასწრაფოდ შეიკრიბნენ ამ საკითხთან დაკავშირებით და სოკის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა კატეგორიულად მოითხოვა დამნაშავეთა უმკაცრესი დასჯა. მან მოუწოდა აღმასკომის კიდევ 6 წევრს დაუყოვნებლივ გადადგნენ ისე, როგორც ეს გასულ კვირაში ორმა ჩინოსანმა გააკეთა თავისი ნებით. ერთი წევრი გაფრთხილებულია. სამარანჩის მოთხოვნით მარტში საგანგებო სოკის სესიას მოიწვევენ და ყველას, ვინც გარეულია კორუფციაში, აღმასკომიდან გარიცხავენ.

სოკის პრეზიდენტი ბოდიშს უხდის მსოფლიო ოლიმპიურ ოჯახს და გამოთქვამს რწმენას, რომ ზოგიერთთა ულირსი საქციელი ჩრდილს ვერ მიაყენებს ოლიმპიურ მოძრაობას, და სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება ჩვეული ტემპით გაგრძელდება.

## თემა განსჯისათვის

# აფსუს!

## პრივატიზებული სპორტული ბაზების მეპატრონეები „შემოდგომის აზნაურებად" იქცნენ

სპორტული ობიექტების გასახელმწიფოებრიობა ჩვენში დამკვრელურად არ წარმართულა. ქართული სპორტის მესვეურები, თითქოს გული უგრძნობდათ მოსალოდნელ შედეგებზე, ყოველნაირად ცდილობდნენ ამ პროცესის შეყოვნებას, რაც დღემდე გრძელდება. ზოგიერთი სპორტული ბაზების პრივატიზებამ უკვე ყველას პრაქტიკულად დაანახვა, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა („ლაგუნა-ვერე"), არანაირი ხელშესახები სიკეთე „იძულებით" აჩქარებას არ მოუტანია. სპორტული ბაზების ხელში ჩაგდების მსურველები ადრეც იყვნენ და ახლა უფრო მომრავლდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კანონმდებლობაში პრივატიზებული ობიექტების პროფილის განსაზღვრაში მეპატრონის უპირატესი უფლება გაჩნდა.

ადრე ვწერდით, რომ თვალი თბილისის სპორტის სასახლესაც დაადგეს და სხვადასხვა ინსტანციებში უკვე კულისებსმიღმა გარიგების სუნიც დატრიალდა. ისევ და ისევ სპორტის მესვეურთა სიფხიზლემ შეუშალა ხელი ქვეყნის ამ უპირველესი დახურული სპორტული ბაზის ფორსირებულ პრივატიზებას. თუმცა, მთავარი ნაბიჯი ქართული სპორტის სასიკეთოდ ჯერ ისევ გადასადგმელია – ყოვნდება თბილისის სპორტის სასახლის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ბალანსზე დაბრუნების საკითხი.

ზემოთ ზოგადად ვთქვით სპორტული ობიექტების პრივატიზების უკუშედეგებზე, ახლა კი სამაგალითოდ მოვიყვანთ კონკრეტულ ფაქტებსაც. ალბათ ბევრს ახსოვს რა სიხარული დაგვეუფლა, როცა ვაკეში დახურული საცურაო აუზი გაიხსნა. ფაქტობრივად ჩვენში საწყლოსნო სპორტის სახეობათა წარმომადგენლებს ზამთარში წვრთნა-შეჯიბრებების ჩატარების შესაძლებლობა მიეცათ. მერე ერთ-ერთი პირველთაგანი ეს ობიექტი გაასხვისა სახელმწიფომ, კერძო მეპატრონეები კი აგერ რამდენიმე წელიწადია თავს მხოლოდ იმით იწონებენ, რომ ასეთ სიმდიდრეს ფლობენ, მისი ამოქმედება კი არ ძალუძთ.

ანდა, ბაკურიანში „დინამოს" სათხილამურო ბაზა ავიღოთ. იყო დრო, ამ ბაზაში სპორტის სხვადასხვა სახეობაში მომეცადინეთა შეკრებების უმკაცრესი გრაფიკი იყო დაწესებული, ხოლო თუ სადმე „ფანჯარა" გამოჩნდებოდა, დამსვენებელთა რიგი იდგა. პრივატიზების პროცესის დაწყებისთანავე ეს ობიექტიც სასწრაფოდ გაიყიდა, გაიყიდა და... გაიყინა. დღეს ბაკურიანში არაერთმა ოჯახმა აჯობა „დინამოს" ბაზის მეპატრონეებს – გახსნა საკუთარი კეთილმოწყობილი სასტუმრო, „დინამოს" ეს ნაგებობა კი, დაბის ცენტრში, ახალი მეპატრონეების რაიმეს მოსაზრების მოლოდინში, თვალებდათხრილი დევივით გამოიყურება. ვინც იცის, ადრე აქ რა სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფდა, ახლა ჩაივლის, შეხედავს უსიცოცხლო ნაგებობას და იტყვის – „აფსუს!"

მართლაც „აფსუს", ჩვენო პრივატიზებულო სპორტულო ბაზებო ახალი მეპატრონეების ხელში...

მიმომხილველი

# ეროვნული ჩემპიონატი კი დღეს დაიწყება

დადგინდა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის დაწყების დრო იგი დღეიდან, 26 იანვრიდან განახლდება. მატჩები ტრადიციულად ვერის ბაღის კალათბურთის დარბაზში გაიმართება. სასიამოვნო სიახლე ის იქნება, რომ ამ სპორტულ სარბიელზე ჩართული იქნება გათბობა და, ალბათ, გულშემატკივრები მრავლად დაესწრებიან ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდების პაექრობებს.

## ძიუდო • მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი

# პირველი მედლები ძიუდოისტებს მოაქვთ

**შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა ძიუდოისტებმა, იაპონიაში წლის დასაწყისში გამოსვლას თუ არ ჩავთვლით, წარმატებით დაიწყეს წლევანდელი სპორტული სეზონი – ხუთი ფალავნიდან წუხელ მოსკოვიდან შინ ოთხი მედლით დაბრუნდა.**

მოსკოვის ასპარეზობა ერთ-ერთი პირველია იმ 7-8 საერთაშორისო ტურნირიდან, რომელიც წინ უსწრებს ევროპის ჩემპიონატს. მოსკოვის გარდა, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ფედერაციის გადაწყვეტილების შესაბამისად, კიდევ სამ ტურნირს დააფინანსებს. ეროვნული ნაკრების

იხ. მე-2 გვ.




საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე წრე და სათასო მატჩები წელს უჩვეულოდ ადრე დაიწყება. სათამაშო კალენდარი სფფ-ს საშეჯიბრო განყოფილებამ უკვე შეადგინა და ნაკლებსავარაუდოა მისი დამტკიცებისას აღმასკომმა (5 თებერვალი) რაიმე ცვლილება შეიტანოს. პირველი ჯგუფის მეორე წრისა და თასის გათამაშების განრიგი

იხ. მე-3 გვერდი

## საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახური გიწვევთ

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახური ჟურნალისტებთან, სპორტის გულშემატკივრებთან და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ტრადიციული შეხვედრების მორიგ პრესკონფერენციას გამართავს ხუთშაბათს, 28 იანვარს, სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში, 12 საათზე.

სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური

# პირველი მედლები ძიუდოისტებს მოაქვთ

*(პირველი გვერდიდან)*

უფროს მწვრთნელს შოთა ხაბარელს მიაჩნია, რომ ამ ტურნირებში საბოლოოდ გამოიკვეთება ნაკრები, რომელიც ევროპის ჩემპიონატში გამოვა. ფედერაციამ და უფროსმა მწვრთნელმა ამჯერად, მოსკოვში, გეგმის შესაბამისად, მხოლოდ ხუთი ათლეტი გამოსცადა. მათ შორის იყო ოლიმპიური ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა განაახლოს ვარჯიში და, იმედია, ყველას დაარწმუნებს, რომ მისი დრო ჯერ არ წასულა.



ალექსანდრე დავითაშვილი



დავით ნადარაია

ამდენი ხნის შესვენების შემდეგ, მოსკოვში ხახალეიშვილის მიერ მოპოვებული ბრინჯაოს მედალი კარგ დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ. დავძენთ, რომ დავითმა ფინალში გადასასვლელი შეხვედრა თავისივე თანაგუნდელ ალექსი დავითაშვილთან წააგო. ალექსიმ კი ფინალში მსოფლიო ჩემპიონ მოსკოველ სერგეი კასაროტოვს 7:0 სძლია და გაიმარჯვა. მეორე გამარჯვებულია დავით ნადარაია (73 კგ), მამუკა კურდღელაშვილს (60) კი, ისევე როგორც ხახალეიშვილს მესამე ადგილი ხვდა. კიდევ ერთი ჩვენი ფალავანი ლევან ციგრიაშვილი (81) მხოლოდ მეხუთე-მეექვსე ადგილს დასჯერდა.

შეიძლებოდა თუ არა უფრო ძლიერი და სრული შემადგენლობით მონაწილეობა მოსკოვის ტურნირში? ცხადია, შეიძლებოდა, მაგრამ ყველაფერი გადაწყდა ისე, როგორც საჭირო იყო ამ ეტაპზე. მწვრთნელთა საბჭომ შინ შეგნებულად დატოვა რევაზიშვილი, ვაზაგაშვილი, ხერგიანი, ლიპარტელიანი, გუგავა, ჯიქურაული... ფაქტობრივად, ისინი საერთაშორისო ტურნირების ევროპულ კრუიზში ჩაებმებიან (გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი...).



მამუკა კურდღელაშვილი



დავით ხახალეიშვილი

## „რინგსი" ● მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი

# პირველი ჩემპიონები საქართველოდან „რინგსის" ეგიდით

ორიოდ დღის წინ, 23 იანვარს, ტოკიოში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა პროფესიული ჭიდაობის მსოფლიო ლიგა „რინგსის" ეგიდით. ტოკიოს 15 ათასიან დარბაზში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ ჰოლანდიელი და ქართველი სპორტსმენები. გუშინ „ლელოს" რედაქციას დაუკავშირდა საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი და „რინგსის" ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში ნოდარ ექვთიმიშვილი, რომელმაც შემდეგი გვაცნობა:

— საქართველოდან „რინგსისა" და ჩვენი ქვეყნის ღირსებას იცავდნენ ზაზა ტუეშელაშვილი, ძმები ტარიელ და ამირან ბიწაძეები. ეს იყო „რინგსის" ეგიდით გამართული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა. მანამდე ჩვენი ბიჭების, სწორედ ამ სამეულმა ავსტრალიელი და რუსი მეტოქეები დაამარცხეს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ზაზა ტუეშელაშვილი და ტარიელ ბიწაძე უკვე 6 წელიწადია, რაც პროფესიულ ჭიდაობაში გადავიდნენ, იაპონელები კარგად იცნობენ მათ ოსტატობას, ამიტომაც იყო, რომ ჰოლანდიელებთან შეხვედრისას თითქმის მთელი დარბაზი — 10000 კაცზე მეტი ქართველებს ქომაგობდა. არც ჩვენებურებმა გააწბილეს უცხოელი გულშემატკივრები და კარგად გაისარჯნენ: ტუეშელაშვილმა და ბიწაძეებმა თავიანთი მეტოქენი დაჩაგრეს, ქულა რაა, ისიც კი არ დაუკარგავთ და მშრალი ანგარიშით მოუგეს ჰოლანდიელებს — 13:0. ამით ჩვენმა ფალავნებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ქართველი კაცის ნიჭი და მოწადინება, ნებისმიერ უცხო სპორტის სახეობას ჰგუობს და მათთვის არანაირი ტიტული არ არის მიუწვდომელი. ქართველი სპორტსმენები პირველები არიან ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან, რომელთაც პროფესიული ჭიდაობის მსოფლიო ლიგის ჩემპიონობა მოიპოვეს „რინგსის"- ეგიდით.



ნოდარ ექვთიმიშვილი

ბატონმა ნოდარ ექვთიმიშვილმა ერთი საგულისხმო ამბავიც გვამცნო: სამგზის ოლიმპიურ და ცხრაგზის მსოფლიოს ჩემპიონს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ალექსანდრე კარელინს გადაუწყვეტია, პროფესიულ ჭიდაობაში გამოსცადოს ძალა და არჩევანი სწორედ კლუბ „რინგსზე" შეუჩერებია. კარელინი და რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ მამიაშვილი ამ დღეებში ტოკიოს ეწვივნენ და მოლაპარაკებაც გამართეს. ამ შეხვედრისას გადაწყდა, რომ ალექსანდრე კარელინი თავის პირველ შეხვედრას პროფესიულ ჭიდაობაში თებერვლის შუა რიცხვებში გამართავს. მისი პირველი მეტოქე კი სწორედ „რინგსის" ფუძემდებელი და პრეზიდენტი, იაპონელი აკირა მედა იქნება.

სხვათა შორის, აკირა მედა, რამდენიმე წლის წინათ, ტოკიოში გამართულ „რინგსის" ერთ-ერთ ტურნირში დაამარცხა ჩვენმა მკლავჭიდელმა ზაურ ცხადაძემ.

## სპორტი და ხელოვნება

# კინოხელოვნების ნიმუში სოკ-ის ინიციატივით

პროპაგანდა, ბიზნესი და ხელოვნება — მათი სინთეზის წყალობით ჰოლივუდში შეიქმნა ფილმი „ოლიმპიური დიდება" (Olympic clory). ეს ფართო ეკრანისათვის გადაღებული პირველი სპორტული ფილმია, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ლიცენზიით შექმნა კინოკომპანიამ „Megamotion Pictures". „ოლიმპიური დიდების" პრეზენტაცია ახლახან 21 იანვარს მოეწყო ნიუ-იორკში. ფილმი ზედმიწევნით მრავალმხრივია და მოიცავს ოლიმპიური თამაშების და საერთოდ სპორტის როგორც შემეცნებით, ასევე მეცნიერულ-კულტურულ ასპექტებს. თუმცა, ყოველივე ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ „ოლიმპიური დიდება" მოსაწყენი და სპეციფიური ფილმია. პირიქით, ეს ფართოეკრანიანი სურათი კომერციული მიზნებისთვისაცაა შექმნილი. მის შესაქმნელად ხომ ცნობილი კინემატოგრაფები იყვნენ მოწვეულნი. „ოლიმპიური დიდების" პროდიუსერები საქვეყნოდ ცნობილი ფრანკ მარშალი და კეტლინ კენედი არიან. მათი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია ჩვენშიც მეტად პოპულარული ფილმი „იურული ხანის პარკი" (რეჟ. სტივენ სპილბერგი). „ოლიმპიური დიდების" სცენარის ავტორი კი კინოხელოვნებაში ასევე ცნობილი პიროვნებაა — მწერალი ტომ კენილი, რომლის სცენარით გადაიღო სტივენ სპილბერგმა შედევრი „შინდლერის სია".

სოკმა იმაზეც იზრუნა, რომ წამოწყება ტრადიციად იქცეს და იმავე კომპანიას („Megamotion Pictures") მიანიჭა უფლება გადაიღოს ფილმი სიდნეიში მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე.

მოამზადა
დათო თავართქილაძემ

## მძლეოსნობა ● თბილისის ზამთრის ღია პირადი პირველობა

# ამჯერადაც დედაქალაქის მერიის სპორტის სამმართველო...

**ბოლო წლებში ეს ასპარეზობა საქართველოს მძლეოსანთა სეზონის სასტარტო შეჯიბრებად იქცა და ეს მთლიანად თბილისის მერიის სპორტის სამმართველოსა და პირადად მისი თავკაცის ვლადიმერ კანკავას დამსახურებაა.**

წლევანდელი შეჯიბრება ამ დღეებში გაიმართა დიმიტრი იოსელიანის სახელობის მძლეოსნობის დახურულ მანეჟში. თბილისში საასპარეზოდ დიდი ენთუზიაზმით ჩამოვიდნენ მძლეოსნები ქუთაისიდან, ახმეტიდან, თიანეთიდან, გარდაბნიდან, საგარეჯოდან... სულ 200-მდე მოასპარეზემ მოიყარა თავი, რაც დღევანდელ პირობებში უდავოდ სარეკორდო მაჩვენებელია.



თამარ შანიძე

„ლელოს" კორესპონდენტი ესაუბრა პირველობის მთავარ მსაჯს, ვეტერან მძლეოსანს, ღვაწლმოსილ სპორტულ მუშაკს და პედაგოგს მამია ტუღუშს. აი, რა თქვა მან:

— პირდაპირ აღფრთოვანებული ვარ თბილისის სპორტის სამმართველოს თანადგომით. ეს შეჯიბრება მძლეოსანთა ნამდვილ სპორტულ დღესასწაულად აქცია თბილისის პორტის სამმართველომ. გარდა უხვი და მრავალფეროვანი პრიზებისა რჩეულ ათლეტებს ფულადი ჯილდოებიც დაურიგდათ. ამიტომაც იყო, რომ თითოეული სპორტსმენი შესაძლებლობის მაქსიმუმს ავლენდა. სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი, რომ ამ პერიოდისთვის შედეგები დამაკმაყოფილებელია. განსაკუთრებით კი გამოყოფდი უბერებელ თამარ შანიძის მიღწევას. 60 მ. რბენაში თამარმა 7,2 წ. აჩვენა, რაც სიდნეის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ნორმატივია, მაგრამ ახლა მთავარია, ჩვენმა მორბენალმა ეს შედეგი სალიცენზიო საერთაშორისო სარბიელზე აჩვენოს. თამარ შანიძეს გადაეცა ლუცია სერგეევას ხსოვნის სპეციალური პრიზი, რომელიც საუკეთესო შედეგისათვის დაწესდა.

ჩვენში დაიწყო ქალთა სამხტომის აღორძინება. ამჯერად საუკეთესო ნახტომი აჩვენა იამზე ტოგონიძემ — 10,68 მ. ვაჟებიდან კი ამ სახეობაში ქუთაისელმა ვეტერანმა ვასო მახარაძემ გაიმარჯვა — 14.90. უდავოდ მისასალმებელია



ლაშა ბებია

სპრინტში აფხაზეთიდან ლტოლვილის ლაშა ბებიას შედეგი 60 და 200 მ რბენაში — შესაბამისად 6,9 და 23,3. 60 მ თარჯრბენში წლეულსაც გამოიჩინა თავი ქუთაისელმა სერგეი ტურიატკომ — 8,1. ბირთვის კვრაში უძლიერესი იყო ასევე ქუთაისელი გივი ჩიბურდანიძე — 16,09. მზარდ ოსტატობას აჩვენებს 60 და 200 მ. რბენაში ახმეტელი მარინე ჯააძე, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც გამოჩნდა არენაზე.

მინდა აქვე დავძინო, რომ ქალთა გააქტიურება გამოიწვია ქალთათვის ევროპის თასის გათამაშებაში მონაწილეობის პერსპექტივამ. ეს შეჯიბრება პირველად გაიმართება წლეულს და ისრაელი უმასპინძლებს — თქვა დასასრულ მამია ტუღუშმა.

**განცხადება**

ფალავანთა კლუბში იქმნება ჭიდაობის გულშემატკივართა ფან კლუბი (ქართული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძიუდო და სამბო).
დაგვიკავშირდით ტელეფონით:
23-51-65

ომზარ შოშიტაშვილი,
იოსებ გაგნიძე.





იმუშავეთ ეფექტურად და ჩვენთან ერთად

ჩვენი დანადგარები დამონტაჟებულია ავტოგასამართ სადგურებზე:
„საველიჩი", „სიერა'ოილი", „მარს'ოილი", „გიოჩი", „დემეტრა"

თბილისის საწყობიდან:
ვულკანიზაციისა და ბალანსირების დანადგარები, კომპრესორები, 2,5 ტ. მანქანის ამწე, მაღალი წნევის ავტოსამრეცხაოები ორთქლით, ავტოაქსესუარები.

უფასოდ:
* შეფ-მონტაჟი
* სპეციალისტების სწავლება
* საგარანტიო მომსახურება

FAX. TEL: 23 00 96 2928 64 TEL. FAX.

ავტოსერვისის დანადგარების ექსკლუზიური იმპორტიორი. თბილისი, ჭავჭავაძის 49ა.


# „იმედი" სამაჩაბლოში ჩადის

ერთი წელია, რაც ვაკის ტურბაზაში მცხოვრებ ცხინვალიდან ლტოლვილ ბავშვთა საფეხბურთო გუნდი „იმედი" (მწვრთნელი შალვა გალეგაშვილი) შეიქმნა. ცხინვალელმა ნორჩებმა უკვე ჩაატარეს რამდენიმე ამხანაგური მატჩი, მათ შორის შეხვედრები გორელ და თამარაშნელ თანატოლებთან.

სპორტულ ურთიერთობებს, მათ შორის „იმედის" პრაქტიკულ ნაბიჯებს, თავისი წვლილი შეაქვს ლტოლვილთა სამკვიდროში დაბრუნებაში.



ცხინვალიდან ლტოლვილ ბავშვთა საფეხბურთო გუნდი „იმედი"

## მინიფეხბურთი

# ყველა, ბათუმის, ქუთაისის და ფოთის გუნდების გარდა

ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელს მიხეილ მესხს ამ დღეებში 62 წელი შეუსრულდებოდა... სულ მალე, უფრო ზუსტად 1-5 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში, სფფ ატარებს მიხეილ მესხის ხსოვნის ტურნირს მინი-ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის პირველი ჯგუფის გუნდების მონაწილეობით.

**ჯგუფების შემადგენლობა:**

**I ჯგუფი.** „დინამო" (თბ.), „მერანი-91", „ვიტ-ჯორჯია".

**II ჯგუფი.** „ლოკომოტივი", „ოდიში", „სამგურალი".

**III ჯგუფი.** „დილა", „გორდა", თსუ.

**IV ჯგუფი.** „არსენალი", „სიონი", „გურია".

გთავაზობთ თამაშების კალენდარს:

*1 თებერვალი.* „სიონი" — „გურია", „გორდა" — თსუ, „ოდიში" — „სამგურალი", „მერანი-91" — „ვიტ-ჯორჯია".

*2 თებერვალი.* „არსენალი" — „სიონი", „დილა" — „გორდა", „ლოკომოტივი" — „ოდიში", „დინამო" — „მერანი-91".

*3 თებერვალი.* „გურია" — „არსენალი", თსუ — „დილა", „სამგურალი" — „ლოკომოტივი", „ვიტ-ჯორჯია" — „დინამო".



შენიშვნა: პირველი მატჩები გაიმართება 12.00 საათზე, მეორე — 13.30, მესამე — 15.00, მეოთხე — 16.30. ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები ნახევარფინალში ითამაშებენ 4 თებერვალს 16 და 18 საათზე. წაგებული გუნდები 5 თებერვალს 16 საათზე მესამე ადგილისათვის იბრძოლებენ, ხოლო გამარჯვებულები იმავე დღეს 18 საათზე ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს.

# საზრანსფერო სეზონის დახურვამდე რამდენიმე დღე რჩება, ქინქლაძის, არჩილ არველაძის და ჯამარაულის ბედი კი გაურკვეველია

გასაყიდ მოთამაშეთა სიაში შეყვანილი ქართველი ლეგიონერი ***გიორგი ქინქლაძე*** „აიაქსმა" 9 მილიონ დოლარად შეაფასა. მისი შეძენა სამეფო კლუბს სურდა, მაგრამ გიორგის აგენტსა (დანიელი ბენეში) და „რეალის" მესვეურთა მოლაპარაკება ვადებში ვერ ჩაეტია — 15 იანვარს ესპანეთში სატრანსფერო სეზონი დაიხურა. პირინეის ნახევარკუნძულისაგან განსხვავებით ჯერჯერობით ნისლიან ალბიონზეა შესაძლებელი გუნდიდან გუნდში გადასვლა. ბოლო ცნობებით, ქინქლაძის გადაბირება მოუწადინებია ლონდონის „ჩელსის" დამრიგებელს ჯანლუკა ვიალის. გაზეთ „დეილი მეილისთვის" მიცემულ ინტერვიუში თავხოტორა იტალიელი აცხადებს: „ქინქლაძის თამაში ჯერ კიდევ „მანჩესტერ სიტის" შემადგენლობაში მახსოვს. ეს ის ფეხბურთელია, რომელიც ჩვენს გუნდს დიდ სარგებლობას მოუტანდა". თუ როგორ დამთავრდება „ჩელსისა" „აიაქსის" მოლაპარაკება, მალე შევიტყობთ.

ქინქლაძისა არ იყოს, გაურკვეველ სიტუაციაშია ზოგიერთი სხვა ქართველი ლეგიონერიც. ჰოლანდიის „ბრედაში" მოასპარეზე ***არჩილ არველაძის*** შეძენა სურთ გერმანულ „ჰერტას" და იტალიურ „უდინეზეს", ***გოჩა ჯამარაულის*** — შვეიცარიულ „ციურიხს".

მათგან განსხვავებით, გაარკვია თავისი ახლო მომავალი ფრაიბურგელმა ***ლევან კობიაშვილმა.*** მას სამ თვეში უმთავრდებოდა გუნდთან კონტრაქტი, მაგრამ მთავარი მწვრთნელის ფინკესა და კლუბის ხელმძღვანელობის დაჟინებული თხოვნით ლევანმა კიდევ ერთი წლით გაიხანგრძლივა „ფრაიბურგთან" ხელშეკრულება.

# დი სტეფანოს ოჯახში ქართულიც გაისმის

**ვეტერანთა ტურნირები, ეს ხომ, პირველ ყოვლისა, წარსულთან შეხვედრაა, რასაც გარდასული დღეების გახსენება მოსდევს და თუ ეს გახსენება სუფრასთან ხდება, მაშინ გულითადი საუბრები მომძლავრდება და ისეთ რაღაცას გაიგებს კაცი, რომ ბევრს დაუჯერებლად მოაჩნია. არადა, ეს სრული სიმართლეა, რასაც „ლელოს" დღევანდელი სტუმარი, ორმოცდაათიანი წლების მიწურულისა და სამოციანის დასაწყისის თბილისის „დინამოს" შესანიშნავი ფორვარდი ვლადიმერ ბარქაია იხსენებს...**



*1958 წ. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი მადრიდის „რეალი". ზედა რიგში (მარცხნიდან): ალონსო, მარგუიტოსი, სანტამარია, ლესმესი, სანტისტებანი, რუიზი; ქვედა რიგში (მარცხნიდან): კოპა, მარსალი, დი სტეფანო, რიალი, ჰენტო.*

მისი რედაქციაში მოსვლა კი, ამ დღეებში, გურამ ქავთარაძის დასაფლავებაზე დავთქვით, სადაც ფეხბურთის გულშემატკივართა მთელი ელიტა იყო. მის დანახვაზე კინორეჟისორმა გიზო გაბისკირიამ მისაყვედურა, რატომ არ წერს „ლელო" სიომას (ასე ეძახიან ბარქაიას შინაურულად) დი სტეფანოსთან შეხვედრაზე, განა საინტერესო არ იქნება?

ეს გერმანიის ქალაქ საარბრიუკენის ტრადიციულ ერთდღიან საახალწლო მინიფეხბურთის ვეტერანთა ტურნირზე მომხდარა. იქ ადგილობრივ გუნდებთან ერთად სათამაშოდ მიუწვევიათ „რეალის", „ბენფიკას", თბილისის „დინამოს" და იტალიის გუნდებიც.

— ჩვეულებისამებრ ტურნირის შემდეგ დიდი ბანკეტი გაიმართა, — თქვა ვ. ბარქაიამ, — სადაც ყურადღების ცენტრში „რეალის" ლეგენდარული შემადგენლობის 50-60-იან წლებში ტოლს რომ არ უდებდა მსოფლიოს საკლუბო გუნდებს, თავდამსხმელი იყო. ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ საარბრიუკენის ტურნირში არანაკლებ პოპულარული ფეხბურთელი, ჰენტო თამაშობდა. ბანკეტის ოფიციოზი რომ ამოიწურა, ქართველებმა, რომელთა შორის „გაიტალიანებული" ჩვენი თანამემამულე ლევან ნოდიას მოყვარე რეზო ჭოხონელიძეც იყო, ჩვენებური ქეიფი გავაგრძელეთ. რეზოს ვთხოვეთ, როგორმე დი სტეფანო „ჩაგვაგდებინე" ხელში... და მართლაც, მიწვევაზე განთქმულ ფორვარდს უარი არ უთქვამს და სუფრაზე შემოგვიერთდა. მან ნამდვილად ვერ დააღწია თავი თბილისში ცნობილი გულშემატკივრის, ბენო ლაბარტყავას „შემოტევას", რომელიც უამრავ კითხვას აძლევდა, დი სტეფანო ამომწურავად პასუხობდა ყველა კითხვას. როცა თბილისის „დინამო" უხსენეს, თქვა, რომ გაგონილი ჰქონდა ცოტა რამ გუნდზე და ქართულ ფეხბურთზე სერთოდ, ილაპარაკა საბჭოთა ფეხბურთელებზე. იქვე შენიშნა, რომ ალბათ მკაცრი და გრძელი ზამთრის გამოა, რომ საბჭოთა ფეხბურთი ძნელად ვითარდება და თავი არაფრით დაამახსოვრა გულშემატკივრებს მსოფლიო პირველობაზე 1958 წელს, საერთოდ, სინანული გამოთქვა, რომ ინფორმაციის სიმწირის გამო (მაშინ „რკინის ფარდა", რომელიც საბჭოთა კავშირს ჰქონდა, თავის საქმეს აკეთებდა) უჭირს ყოფილ საბჭოთა ფეხბურთზე დაწვრილებით საუბარი, მაგრამ მაინც ახსენა იაშინი, ივანოვი, მეტრეველი, მესხი. სლავას გვარი იტალიური ტრანსკრიფციით წარმოთქვა.

მანუჩარ მაჩაიძე კითხვებმა გაიტაცა და ჰკითხა:

● ***ფრანკოს რეჟიმის დროს, მისი მომხრე იყავით?*** — ეს ძალიან გაუკვირდა მას და სიტყვა მოუჭრა.

— აბა, კომუნისტების მომხრე ხომ არ ვიქნებოდი, — ამაზე ძალიან ბევრი ვიცინეთ.

ჩვენი სტუმარი, ქართულ სუფრას რომ სჩვევია, ბევრი ვაქეთ და ვადღეგრძელეთ. განსაკუთრებით ენაწყლიანობდა ბენო, მან გულით გაიხარა დიდ ფეხბურთელს რომ ასე ახლოს ელაპარაკებოდა. ერთი წუთით სუფრა მივატოვე და დაბრუნებულს ნამდვილი სიურპრიზი დამხვდა, რასაც ძალზე აეღელვებინა ჩვენი ბიჭები, დავინტერესდი და ბენოს პასუხმა გამაკვირვა.

— რომ იცოდე რა თქვა დი სტეფანომ, — მითხრა მან, — რა და, ჩემში ქართული გენიც არისო, ეს გენი იმდენად ძლიერია, რომ ჩემს ოჯახში დღეს ქართულსაც გაიგონებთო.... დი სტეფანოს ეს ნათქვამი მთელმა სუფრამ დაადასტურა.

ალფრედოს დიდხანს არ დაუტოვებია ჩვენი სუფრა, თითქმის დილამდე იჯდა, თქვენთან ყოფნა მსიამოვნებსო. ლაპარაკობდა პუშკაზე, კოპაზე, ჰენტონზე, „რეალზე", როცა ვკითხეთ თუ ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოში უძლიერეს ფეხბურთელად, გარინჩაო, უყოყმანოდ მოგვიგო, მერე მარადონა და პელეო...

გზა დავულოცეთ, დილის 7 საათზე მიფრინავდა. მადლობა გადავუხადეთ ასეთი თავმდაბლობისა და გულითადობისთვის და დავემშვიდობეთ. მან დიდი კმაყოფილება გამოთქვა ასეთი გულთბილი მასპინძლობისათვის.

ჩვენ კი დაგვამახსოვრდა იგი დიდი ერუდიციითა და მაღალი კულტურით.

**ჩაიწერა უშანგ ჭიჭინაძემ**

# „თანამეგობრობამ" მისია ამოწურა, გაისად იგი შეიძლება აღარც გაიმართოს

მოსკოვის საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი აშკარად სულს ლაფავს. რიგით მეშვიდე გათამაშების სტარტმა ყველას უჩვენა, რომ ამ შეჯიბრებას უფრო პოლიტიკური დატვირთვა აქვს. დახურულ მანეჟში ფეხბურთელი სეზონისთვის ვერ მოემზადება, ამიტომ რუსეთის დედაქალაქში საასპარეზოდ არ ჩავიდნენ ლიტვის, უზბეკეთის ჩემპიონები, ხოლო საქართველოსა და უკრაინის რჩეული კლუბები ტურნირზე მეორე შემადგენლობებით წარსდგნენ.

„თანამეგობრობა-99"-ზე გუნდებმა უკვე ორ-ორი მტჩი გამართეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალგაზრდა გამოუცდელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული „დინამო-2" ვერ გაუმკლავდა მეტოქეებს, ჩვენებმა „კაუნასთან" მატჩი წააგეს 0-2, ხოლო მოსკოვის „სპარტაკთან" — 1-4. დღეს თბილისელები ბელარუსის ჩემპიონს „დნეპრო-ტრანსმაშს" ეთამაშებიან.

## საქართველოს X ჩემპიონატისა და თასის გათამაშების კალენდარი

**საქართველოს თასი**

მეოთხედფინალი

*20-24 თებერვალი*

ლოკომოტივი — დინამო (ბთ.)
ტორპედო — გორდა
ვიტ-ჯორჯია — სამგურალი
არსენალი — მერანი-91

**პირველი ჯგუფი • მეორე წრე**

XVI ტური

*28 თებერვალი, კვირა*

ლოკომოტივი — კოლხეთი-1913
სამგურალი — მერანი-91
გურია — სიონი
ტორპედო — თსუ
იბერია — ოდიში
დილა — გორდა

*1 მარტი, ორშაბათი*

ვიტ-ჯორჯია — დინამო (ბთ.)

*2 მარტი, სამშაბათი*

არსენალი — დინამო (თბ.)

XVII ტური

*4 მარტი, ხუთშაბათი*

თსუ — გურია

*5 მარტი, პარასკევი*

კოლხეთი-1913 — ტორპედო
სიონი — დილა
გორდა — სამგურალი
მერანი-91 — დინამო (თბ.)
ოდიში — ლოკომოტივი
დინამო (ბთ.) — იბერია

*6 მარტი, შაბათი*

ვიტ-ჯორჯია — არსენალი

XVIII ტური

*12 მარტი, პარასკევი*

არსენალი — მერანი-91
სამგურალი — სიონი
დილა — თსუ

*13 მარტი, შაბათი*

დინამო (თბ.) — გორდა
გურია — კოლხეთი-1913
ტორპედო — ოდიში
ლოკომოტივი — დინამო (ბთ.)
იბერია — ვიტ-ჯორჯია

XIX ტური

*16 მარტი, სამშაბათი*

თსუ — სამგურალი

*17 მარტი, ოთხშაბათი*

იბერია — არსენალი
ოდიში — გურია
კოლხეთი-1913 — დილა
გორდა — მერანი-91
დინამო (ბთ.) — ტორპედო
სიონი — დინამო (თბ.)
ვიტ-ჯორჯია — ლოკომოტივი

XX ტური

*29 მარტი, ორშაბათი*

არსენალი — გორდა

*30 მარტი, სამშაბათი*

მერანი-91 — სიონი
სამგურალი — კოლხეთი-1913
დილა — ოდიში
გურია — დინამო (ბთ.)
ლოკომოტივი — იბერია
ტორპედო — ვიტ-ჯორჯია

*31 მარტი, ოთხშაბათი*

დინამო (თბ.) — თსუ

XXI ტური

*3 აპრილი, შაბათი*

დინამო (ბთ.) — დილა
ოდიში — სამგურალი
სიონი — გორდა
იბერია — ტორპედო
ვიტ-ჯორჯია — გურია
ლოკომოტივი — არსენალი

*4 აპრილი, კვირა*

კოლხეთი-1913 — დინამო (თბ.)
თსუ — მერანი-91

**საქართველოს თასი**

ნახევარფინალის პირველი მატჩები

*7 აპრილი, ოთხშაბათი*

XXII ტური

*10 აპრილი, შაბათი*

არსენალი — სიონი
მერანი-91 — კოლხეთი-1913
დილა — ვიტ-ჯორჯია
გურია — იბერია
დინამო (თბ.) — ოდიში
ტორპედო — ლოკომოტივი
გორდა — თსუ
სამგურალი — დინამო (ბთ.)

XXIII ტური

*16 აპრილი, პარასკევი*

თსუ — სიონი

*17 აპრილი, შაბათი*

დინამო (ბთ.) — დინამო (თბ.)
ლოკომოტივი — გურია
იბერია — დილა
ვიტ-ჯორჯია — სამგურალი
ოდიში — მერანი-91
კოლხეთი-1913 — გორდა
ტორპედო — არსენალი

**საქართველოს თასი**

ნახევარფინალის განმეორებითი მატჩები

*20 აპრილი, სამშაბათი*

XXIV ტური

*23 აპრილი, პარასკევი*

არსენალი — თსუ
სიონი — კოლხეთი-1913
გორდა-ოდიში
დინამო (თბ.) — ვიტ-ჯორჯია
სამგურალი — იბერია
გურია — ტორპედო
დილა — ლოკომოტივი

*24 აპრილი, შაბათი*

მერანი-91 — დინამო (ბთ.)

XXV ტური

*30 აპრილი, პარასკევი*

ვიტ-ჯორჯია — მერანი-91

*1 მაისი, შაბათი*

ტორპედო — დილა
ლოკომოტივი — სამგურალი
იბერია — დინამო (თბ.)
დინამო (ბთ.) — გორდა
ოდიში — სიონი
კოლხეთი — თსუ
გურია — არსენალი

XXVI ტური

*5 მაისი, ოთხშაბათი*

არსენალი — კოლხეთი-1913
თსუ — ოდიში
მერანი-91 — იბერია
დინამო (თბ.) — ლოკომოტივი
სამგურალი — ტორპედო
დილა — გურია
სიონი — დინამო (ბთ.))
გორდა — ვიტ-ჯორჯია

XXVII ტური

*9 მაისი, კვირა*

გურია — სამგურალი
ტორპედო — დინამო (თბ.)
იბერია — გორდა
ვიტ-ჯორჯია — სიონი
ოდიში — კოლხეთი-1913
დინამო (ბთ.) — თსუ
ლოკომოტივი — მერანი-91
დილა — არსენალი

XXVIII ტური

*15 მაისი, შაბათი*

თსუ — ვიტ-ჯორჯია
არსენალი — ოდიში
კოლხეთი-1913 — დინამო (ბთ.)
სიონი — იბერია
გორდა — ლოკომოტივი
მერანი-91 — ტორპედო
დინამო (თბ.) — გურია
სამგურალი — დილა

XXIX ტური

*19 მაისი, ოთხშაბათი*

დილა — დინამო (თბ.)
დინამო (ბთ.) — ოდიში
ტორპედო — გორდა
ლოკომოტივი — სიონი
იბერია — თსუ
ვიტ-ჯორჯია — კოლხეთი-1913
გურია — მერანი-91
სამგურალი — არსენალი

XXX ტური

*23 მაისი, კვირა*

ოდიში — ვიტ-ჯორჯია
არსენალი — დინამო (ბთ.)
კოლხეთი-1913 — იბერია
თსუ — ლოკომოტივი
სიონი — ტორპედო
გორდა — გურია
მერანი-91 — დილა
დინამო (თბ.) — სამგურალი

**საქართველოს თასი**

ფინალი

*26 მაისი, ოთხშაბათი*

# საიდუმლოს ფარდა აეხადა 33 წლის შემდეგ – ბახრამოვი ისტორიაში შევიდა ორი ქილა ხიზილალის მეშვეობით

**„ლელოს" მოსკოველი კორესპონდენტი არკადი სმირნოვი გვატყობინებს:**

**აბა, ვის არ ახსოვს 1966 წლის ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი, რომელშიც ინგლისისა და გერმანიის საფეხბურთო ნაკრებები შეხვდნენ ერთმანეთს. დამატებით დროში მასპინძლებმა 4-2 იმარჯვეს. ამ დღეებში რამდენიმე რუსულ გამოცემაში გამოქვეყნდა წარსულში ცნობილი არბიტრის, 85 წლის ნიკოლაი ლატიშევის აღსარება, რომელზედაც მოგვიანებით უთუოდ იქნება ფიფას კომენტარი.**

დამატებით დროში ინგლისელი ფორვარდის ჯეფ ჰერსტის შორეული დარტყმა გერმანელთა კარის ზედა ძელს ხვდება, მიწაზე ეცემა და ისევ მინდორს უბრუნდება. სასურველი ხშირად ცხადში გადაკ ას — „უემბლიზე" შეკრებილთ შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ბურთმა კარის ხაზი გადაჰკვეთა. შვეიცარიელი არბიტრი გოტფრიდ დინსტი გაოგნებული იყო და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ბოლოს და ბოლოს გადაწყვეტილება საკუთრივ ვერ მიიღო და ლაისმანთან სსრკ-ელ ტოფიკ ბახრამოვთან მივიდა საკონსულტაციოდ. აზერბაიჯანელმა ისე მტკიცედ დაუდასტურა, დინსტს არაფერი დარჩენოდა, გოლი ჩაეთვალა (ამ მატჩში ეს ჰერსტის მესამე გოლი გამოდგა. მაშინდელი ჰეთ-თრიკის წყალობით მან შარშან რაინდის ტიტულიც მიიღო). მოგვიანებით, ვიდეოჩანაწერში კარგად გამოჩნდა, რომ ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთავს. დინსტმაც ამის შემხედვარე შეცდომა აღიარა, მაგრამ გვიანი იყო.: „ლაინსმენი ბახრამოვი გადაჭრით მიმტკიცებდა, რომ გოლი გატანილია, შევცდი რომ მას ვენდე".


ნიკოლაი ლატიშევი

ესეც შენი ბახრამოვი, რომ არა მისი შეცდომა, ჰერსტი ვერ შეასრულებდა ჰეთ-თრიკს, ვერ მიიღებდა საპატიო წოდებას, და საერთოდ, გახდებოდნენ კი ინგლისელები მსოფლიო ჩემპიონები?

ლატიშევის აღსარებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საფეხბურთო სამყაროში, განსაკუთრებით იმ ნაწილმა, სადაც აცხადებს, რომ ტოფიკ ბახრამოვის საერთოდ არ უნდა ემსაჯა ფინალური მატჩი. თურმე, ბაქოელს ისე უნდოდა შესულიყო ისტორიაში, საჭირო ხალხის მოქრთამვასაც არ ერიდებოდა. „ჩვენ მეგობრები ვიყავით, მაგრამ იძულებული გავხდი, მისთვის უარი მეთქვა, რადგან როგორც მის თანამემამულეს, არ შემეძლო მისი კანდიდატურა წამომეყენებინა, მიუხედავად იმისა, ფიფას ზედა ეშელონებში დიდი გავლენით ვსარგებლობდი" — ტრაბახობს რუსი.

მაშ რა ექნა ბახრამოვს, ადგა, აკურატულად გაახვია ორი ქილა შავი ხიზილალა და ფიფას სამსაჯო კომიტეტის წევრს, მალაზიელ კოე ევე ტეიკს მიადგა. ფერადკანიანმა ჩინოსანმა საჩუქარი გამოართვა და აზერბაიჯანელი ფინალურ მატჩში გვერდით მსაჯად დაინიშნა. ასე რომ, ორმა ქილა ხიზილალამ ინგლისელებს მსოფლიო ჩემპიონობა მოაპოვებინაო, ამტკიცებს ლატიშევი და იქვე დასძენს: „მომხდარის შემდეგ ბახრამოვი არც ერთ საერთაშორისო ტურნირზე აღარ მიუწვევიათ, მან საბჭოთა სამსაჯო სკოლის იმიჯი შელახა".

სიმართლე გითხრათ, როდესაც ლატიშევის ეს აღიარება წავიკითხე, გავიფიქრე მასზე — შე კაი კაცო, ამდენ ხანს ჩუმად იყავი, ახლა, 33 წლის შემდეგ მოგინდა შენი პატიოსნების წარმოჩენა? ეგება საქმე მთლად ასე არაა, როგორც იგი ამტკიცებს. ვინ შეეკამათება, ამ ისტორიის მთავარი მოქმედი პირნი ხომ წავიდნენ ამა ქვეყნიდან — 1993-ში — ბახრამოვი, შარშან, ივლისში — დინსტი, ორი თვის წინათ კი ის მალაიზიელი ფიფას ჩინოსანი, ქრთამად რომ ხიზილალა აიღო.

სწორედ ასეთი, პიროვნებისადმი ნეგატიური განწყობით მივადექი სახლში ნიკოლაი ლატიშევს.

● *ბატონო ნიკოლაი, გულზე ხელი დაიდეთ — გამოამზეურებდით თქვენს მოგონებებს თუნდაც ორი თვით ადრე, სანამ ის მალაიზიელი მოხელე იყო ცოცხალი?*

— რატომაც არა, უბრალოდ, ადრე ამისათვის შინაგანად მზად არ ვიყავი. ახლა, როცა 85 წელიწადს გადავაბიჯე, უფრო პრაგმატულად ვუყურებ განვლილს. უფლება არა მაქვს საფლავში წავიღო ზოგიერთი ჩემს ირგვლივ მომხდარი ამბავი.

● *ზოგიერთიო, ბრძანეთ, კიდევ გაქვთ რაიმე საიდუმლო, ხომ არ გაგვიზიარებდით?*

— ო, როგორ არა, იმდენი რამ ვიცი, თუნდაც მსოფლიო ჩემპიონატის ჩაწყობილი მატჩების შესახებ, არც დაგესიზმრებათ, მაგრამ... ვერ გეტყვით. რას იზამ, საბაზრო ეკონომიკის დროს ყველა ეძებს გამოსავალს როგორ ირჩინოს თავი, მეც ავდექი და ხელშეკრულება გავაფორმე ერთ-ერთ ცნობილ რუს გამომცემელთან. სწორედ იგი დააფინანსებს ამჟამად ჩემს სენსაციურ მოგონებებს, რომელიც ამ გაზაფხულზე გამოვა.

● *არ გაშინებთ ის რეაქცია, რომელიც შეიძლება მოჰყვეს თქვენს აღსარებებს?*

— სრულებითაც არა. ჩემი ასაკის კაცს უკვე არაფრის აღარ უნდა ეშინოდეს. ისე, ცხადია, ვცდილობ ძალიან ტაქტიანი ვიყო, არ მინდა ცოცხლებს გული ვატკინო...

● *ამიტომ მიადექით გარდაცვლილებს? ეს ხომ არაკაცური საქციელია!*

— გეთანხმებით, ერთის მხრივ ეს ასეა, მაგრამ საფლავში ხომ არ წავიღებ მომხდარს, ეს ხომ ისტორიაა.

● *იქნებ ქართველ მსაჯებზეც გაქვთ რაიმე კომპრომატი?*

— *(იცინის)* შეიძლება მაქვს კიდეც, მაგრამ ჯერჯერობით თავს შევიკავებ. ისე, დიდი მეგობრობა მაკავშირებდა გარდაცვლჰილებთან ილია ბოჭორაძესთან, ყორა ბაქანიძესთან, ჰო, მართლა, როგორ არიან კარლო ყრუაშვილი, ტოლია მილჩენკო, მიმინოშვილი კიდევ მსაჯობს?..

ის-ის იყო პასუხი უნდა გამეცა, უეცრად მასპინძელს სტუმრები მოადგნენ. რა გაეწყობოდა, ერთმანეთს დავემშვიდობეთ. ბატონმა ნიკოლაიმ თავისი მემუარების წიგნის პრეზენტაციაზე დამპატიჟა, რაზედაც მადლობა მოვახსენე.

*ფოტოები „ლელოს" არქივიდან*


*იყო თუ არა გოლი?*


*მატჩის მთავარი არბიტრი დინსტი (სურათზე მარჯვნივ) ბახრამოვისკენ მიემართება.*


*გოლი ჩაითვალა... ტოფიკ ბახრამოვი (სურათზე მარჯვნივ)*

# თეთრი პირსახოცი გადმოაგდო

**„გადადგომას არასოდეს მოვითხოვ, გუნდში საქმეები ისე დალაგებულად მაქვს, ღმერთმა ყველას მისცეს" — ეს სიტყვები ჟან ტიგანამ აგვისტოში ეროვნული ჩემპიონატის დაწყებისას წარმოთქვა ჟურნალისტების წინაშე. ხუთი თვის შემდეგ კი, „მონაკოს" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. ამ მებრძოლი ხასიათის კაცზე, უფრო იმოქმედა არა გუნდის ბოლო წარუმატებელმა შედეგებმა (პირველობაზე მის გუნდს სატურნირო ცხრილში არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობა აქვს, ამასთან, „მონეგასკები" უეფას თასის გათამაშებასაც გამოეთიშნენ), არამედ მოთამაშეების დიდ ჯგუფთან დაძაბულმა ურთიერთობამ.**

როცა ამას წინათ, „კანთან" სათასო მატჩის შემდეგ ტიგანამ თავის თანაშემწეებს გადადგომის შესახებ გამოუცხადა, მათ მაინცდამაინც გულთან ახლოს არ მიუტანიათ ეს. თანამშრომელთა აზრით, ჟანმა, როგორც უწინ, ყოველივე კოლექტივის გამოსაფხიზლებლად მოიმოქმედა. მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ამჯერად 1984 წლის ევროპის ჩემპიონი აღარ ხუმრობდა.

მეორე დღეს ტიგანამ თავისი გადაწყვეტილების შესახებ შეატყობინა მონაკოს პრინცს და გუნდის კაპიტან ფაბიენ ბარტეზს, შემდეგ კი გადადგომის განცხადება შეუტანა კლუბის პრეზიდენტს ჟან-ლუი კამპორას. რაც ყველაზე აღსანიშნავია, ტიგანას კონტრაქტის მიხედვით შეეძლო მიეღო 15 მილიონი ფრანკის (3 მილიონი დოლარი) კომპენსაცია, მაგრამ მან უარი თქვა. კამპორას განცხადებით, ტიგანა მართალი, კრისტალური და პრინციპული ადამიანია. იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ასეთ სიტუაციაში დასახულ ამოცანებს ვერ შეასრულებდა, ამიტომაც არჩია გადადგომა. ტიგანას წასვლის შემდეგ მის მოვალეობას დროებით ასრულებს „მონაკოს" ყოფილი ფეხბურთელი კლოდ პიუელი, რომელიც აქამდე კლუბში ფიზმომზადებას ხელმძღვანელობდა.

მაშ ასე, მიმდინარე საფეხბურთო სეზონში ტიგანა მეხუთე მთავარი მწვრთნელია, რომელიც უმაღლესი ლიგის კლუბს დაემშვიდობა (მანამდე ეს ხვედრი გაიზიარეს ალენ ჟირესმა პსჟ-დან, დენი ტრომმა – „ლე ჰავრი", ჰენრი კასპერჩაკმა – „ბასტია" და ფარუკ ჰაჯიბეგიჩმა – „სოშო". თვალი გადავავლოთ მის საკმაოდ შთამბეჭდავ მონაგარს.

რაც ტიგანა „მონეგასკებს" ხელმძღვანელობდა, „მონაკომ" მოიპოვა ჩემპიონის ტიტული, ორჯერ გახდა მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი. გარდა ამისა, გუნდმა მიაღწია ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის გათამაშების ნახევარფინალს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ეროვნებით მალელმა, მარსელში გაზრდილმა სპეციალისტმა, გუნდში ავტოკრატული ხელმძღვანელობის მეთოდები დანერგა. წარმოიდგინეთ, ზოგიერთ ფეხბურთელს ტიგანა სკოლის მოსწავლესავით კუთხეშიც კი აყენებდა. ამიტომ იყო, როცა მისი გადადგომის შესახებ შეიტყვეს, მხოლოდ კლუბის ვეტერანებმა ფაბიენ ბარტეზმა, ფრანკ დიუმამ და ვიქტორ იკპებამ გამოთქვეს წუხილი. სახელდობრ, საფრანგეთის ნაკრების მეკარემ გუნდის ბოლო წარუმატებლობებში მხოლოდ ფეხბურთელები დაადანაშაულა. თავის მხრივ, იკპებამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მწვრთნელს დიდ პატივს სცემდა. „სწორედ მას უნდა ვუმადლოდე ჩემს ბოლოდროინდელ მიღწევებს" – თქვა შავი კონტინენტის რჩეულმა ფეხბურთელმა, თუმცა, დაამატა, ჩვენს შორისაც ხდებოდა კონფლიქტები, რომელიც უფრო ტიგანას მძიმე ხასიათიდან გამომდინარეობდაო.


ჟან ტიგანა

„ფრანს ფუტბოლში" გამოქვეყნებულ ინტერვიუში კამპორამ აღიარა, რომ „მონაკოში" ძლიერ დაძაბული სიტუაცია შეიქმნა. ცალკეული მოთამაშეები ღიად არ ემორჩილებოდნენ მწვრთნელს, აწყობდნენ გაფიცვებს.

მაინც, ვინ იყვნენ მთავარი „ბუნტისთავები"? საყოველთაო აზრით, ესენი არიან 21 წლის მსოფლიო ჩემპიონები – დავიდ ტრეზეგე და ტიე ი ანრი (წინა კვირას იგი „იუვენტუსში" გაიყიდა). როცა მონდიალი-98-ის შემდეგ ისინი გუნდში დაბრუნდნენ, აშკარად „თავში აუვარდათ" – ანაზღაურების გაორმაგება მოითხოვეს, თანაც სხვა კლუბების ხელმძღვანელებს მოურიდებლად ეკურკურებოდნენ, თუმცა ეს სასტიკადაა აკრძალული (განსაკუთრებით გათავხედდა ტრეზეგე – იგი ღიად ხვდებოდა „რომას" მენეჯერებს). კამპორას განცხადებით, ანრისა და ტრეზეგეს ასეთი დემარში ცუდად მოქმედებდა სხვა მოთამაშეებზე: „ისინი მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე ფიქრობდნენ და არა თამაშზე. არადა, სწორედ მსოფლიო ჩემპიონები უნდა აძლევდნენ საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულების მაგალითს, მაგრამ ყველაფერი უკუღმა ხდება".

საქმე იქამდეც კი მივიდა, და ეს მთელმა საფრანგეთმა ტელევიზიით ნახა, „ლიონთან" მატჩის შესვენებაზე, მაშინ, როცა ტიგანა გუნდს მითითებებს აძლევდა, ტრეზეგე დემონსტრაციულად კითხულობდა გაზეთს. აბა, რა ავტორიტეტი ექნებოდა მწვრთნელს ამის შემდეგ? არადა, რა უმადურები ყოფილან ეს ტრეზეგე და ანრი – ემე ჟაკემ სწორედ ტიგანას დაჟინებული თხოვნის შემდეგ აიყვანა ისინი ნაკრებში. მოდი და ამის შემდეგ ჰქენი კაცმა სიკეთე!

ჯემალ ჭიკაშვილი

ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატები

**იტალია**

**XVIII ტური.** ვიჩენცა — პარმა 0-0, ვენეცია — ბარი 2-1, სამპდორია — უდინეზე 1-1, სალერნიტანა — რომა 2-1, ლაციო — პიაჩენცა 4-1, იუვენტუსი — პერუჯა 2-1, ინტერი — კალიარი 5-1, ემპოლი — ფიორენტინა 0-3, ბოლონია — მილანი 2-3. ფიორენტინა — 38 ქულა, „ლაციო" — 35, „პარმა", „მილანი" — 33-33;

**ესპანეთი**

**XIX ტური.** სოსიედადი — ალავესი 2-1, ბილბაო — ბეტისი 0-0, ბარსელონა — სარაგოსა 3-1, ვალიადოლიდი — რასინგი 0-0, ვილიარეალი — ექსტრემადურა 1-1, დეპორტივო — რეალი 4-0, ატლეტიკო — სელტა 2-1, მალიორკა — ვალენსია 0-1, ტენერიფე — სალამანკა 1-0, ოვიედო — ესპანიოლი 1-1. ბარსელონა, სელტა — 34-34, ვალენსია — 33.

**ჯერჯერობით არა ბრწყინავენ**

სამთა ტურნირი ისრაელში ნორვეგიის, ესტონეთისა და მასპინძელთა ნაკრებების მონაწილეობით სკანდინაველთა გამარჯვებით კი დამთავრდა, მაგრამ ეს გუნდი ჯერჯერობით აშკარად არ ბრწყინავს.

პირველ მატჩში ისრაელის ნაკრებმა, თუმცა სამი უძლიერესი მოთამაშე (ხაიმ რევივო, ეიალ ბერკოვიჩი, ტალ ბანინი) აკლდა, ანგარიშით 7-0 მოუგო ესტონელებს, მაგრამ შემდეგ დამარცხდა 0-1 ნორვეგიელებთან. ბოლო მატჩი ნორვეგიელებსა და ესტონელებს შორის ფრედ 0-0 დასრულდა.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ზიდანს ტკივილი აწუხებს

ზინედინ ზიდანს, მინდორზე კი გამოდის, მაგრამ ტკივილები აწუხებს. მას დაზიანებული აქვს მარცხენა ნეკნი, მაგრამ, როგორც სარენტგენო შემოწმებით დადასტურდა, ნეკნი გატეხილი არ არის.

— ამს ყველანი განვიცდით, — განაცხადა ნაკრების მწვრთნელმა როჟე ლემერმა, — მაგრამ ვფიქრობთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. უნდა იმოქმედოს ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა — მასაც და მარსელის „ველოდრომის" გულშემატკივრებსაც ძალიან დასწყდებათ გული, თუ ზიდანი მინდორზე არ გამოვა.

მარსელის „ველოდრომის" სტადიონზე, სადაც ფრანგები მაროკოელებს შეხვდნენ, თავისი კერპის საყურებლად 46656 მაყურებელი მივიდა. ზიდანმა ითამაშა, თუმცა მეორე ტაიმში მისი შეცვლა გახდა საჭირო, ფრანგებმა კი მოიგეს 1-0 (გოლი გაიტანა ჯორკაეფმა), მაგრამ მათმა თამაშმა დიდი შთაბეჭდილება არ დატოვა.

## „მილანი" უშეკარეოდ დარჩა?

სეზონის დასაწყისიდან „მილანის" კარს გუნდში ახლად გადმოსული გერმანელი იენს ლემანი იცავდა, მაგრამ საკმაოდ წარუმატებლად და მალე იგი კვლავ 35 წლის ვეტერან სებასტიანო როსით შეიცვალა. განაწყენებულმა ლემანმა სამშობლოში დაბრუნება არჩია, როსი კი ამასწინანდელ მატჩში „პერუჯასთან" ისე განერვიულდა, რომ სრულიად უსაფუძვლოდ, მუშტით გაუმასპინძლდა ჭაბუკ ფეხბურთელ აბიატის. ახლა მას ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ემუქრებოდა.

## დიკ ადვოკაატის აზრით

როგორც „გლაზგო რეინჯერსის" ჰოლანდიელმა მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა განაცხადა, ანდრეი კანჩელსკისი (რომლისათვისაც შოტლანდიელებმა „ფიორენტინას„ უზარმაზარი თანხა — 9 მილიონი დოლარი გადაუხადეს) სეზონის პირველ ნახევარში მეტად უფერულად თამაშობდა, მაგრამ ახლა თანდათანობით უნდა გაიუმჯობესოს საბრძოლო მზადყოფნა, გაამართლოს თავისი ადრინდელი რეპუტაცია.

## ჟირინოვსკი – დამახასიათებელი მანერით

მოსკოვის „სპარტაკის" დაჯილდოვება 1998 წელს მოპოვებული ოქროს მედლებისათვის კრემლში მოეწყო. ჯილდოები გადაეცათ ფეხბურთელებსა და მწვრთნელ ოლეგ რომანცევს. ყველაფერი ჩვეულებრივად წარიმართა, სანამ ვლადიმერ ჟირინოვსკიმ ჩვეული სტილით არ მიმართა კლუბის გულშემატკივრებსა და ფეხბურთელებს — იერიშით აიღონ მეტოქეთა კარი და დაეუფლონ „მთელი მსოფლიოს ოქროს".

## ვინ არის პირველი, მეორე, ... მეოცე

კიევის „დინამოს" შეკრებაზე 47 ფეხბურთელია, მათ შორის კახი კალაძე და ახალწვეული ლევან გვაზავა.

— ვინ არის მათ შორის პირველი, მეორე და ... მეოცე — ეს არავინ იცის — განაცხადეს „დინამოს" პრესცენტრში.

— ეს მხოლოდ 3 მარტს გამოირკვევა, როცა „დინამო" მადრიდის „რეალს" შეხვდება.

## ლიტმანენიც ტოვებს „აიაქსს"

როგორც განთქმულმა ფინელმა ნახევარმცველმა იარი ლიტმანენმა ამსტერდამის „აიაქსის" ხელმძღვანელობას აცნობა, ზაფხულში, როგ... კი თავისუფალი აგენტი გახდება, დაუყოვნებლივ დატოვებს კლუბს.

27 წლის იარი ლიტმანენის ამ განცხადებამ, უპირველეს ყოვლისა, ინგლისური კლუბების ინტერესი გამოიწვია. მისი გადაბირება „ნიუკასლსა" და



„ლივერპულს" სურთ. კარგად არის ცნობილი, რომ ჰოლანდიის ჩემპიონატის 275 მატჩში ამ მეტად შედეგიანმა ნახევარმცველმა 141 გოლი გაიტანა. თვლიან, რომ ლიტმანენი მაინც „ლივერპულში" გადავა, რომელსაც ტოვებს სტივ მაკმანამანი. ფინელი ფეხბურთელი ყოველთვის აცხადებდა, რომ ბავშვობიდანვე ამ ინგლისური კლუბის დიდი გულშემატკივარი იყო.

## სამორანო – „ივანე მრისხანე"

32 წლის ივან სამორანო თვლის, რომ ფეხბურთში ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. ამას წინათ მან იტალიის „სერია A"-ში პირველად შეასრულა ჰეთ-თრიკი. ეს მას ადრე ესპანეთის ჩემპიონატშიც გაუკეთებია, შვეიცარიაშიც, ჩილეს ნაკრებში კი ერთხელ, ვენესუელის ნაკრებთან შეხვედრაში 5 გოლიც კი გაიტანა. და აი,



იტალიის პირველობაზე, რაც მანამდე, ვერ გააკეთა, „ვენეციასთან", ბოლოს და ბოლოს, სამი გოლი გაიტანა.

***სამორანო:*** „ბაჯო და რონალდო თამაშში ფანტაზიითაც გამოირჩევიან და ოსტატობითაც, მე კი ამ კომპონენტს კიდევ ერთს ვუმატებ, მთელი სულითა და გულით ვთამაშობ, და ფეხბურთის მთელ სიყვარულს ვაქსოვ, იგი კი არც რობის სიყვარულს ჩამოუვარდება და არც რონისას. ამიტომაც გამაქვს გოლები. „ვენეციასთან" ჩემი მესამე გოლი მთლიანად რობერტო ბაჯოს დამსახურებაა. მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ნამდვილად დიდი ფეხბურთელია, მე ისღა დამრჩენოდა, რომ მისი ჩინებულად წამოწყებული კომბინაცია დამეგვირგვინებინა. ასეთი უნაკლო გადაცემის შემდეგ გოლის გაუტანლობა, უბრალოდ, სამარცხვინო იქნებოდა. ძალზე საწყენია, რომ მე ვერ გამოვიყენე კიდევ ერთი მომენტი, რომელიც მან შემიქმნა. რობერტომ ეს ეპიზოდი უოლტ დისნეის ფილმის მსგავსად გაითამაშა, მე კი ველარ დავასრულე.

როცა ამ მატჩში მირჩა ლუჩესკუმ სამორანო შეცვალა, მან მაისურს აკოცა და მაყურებლებს ტრიბუნებზე ასევე კოცნა გაუგზავნა. შემდეგ ჩილელი მივიდა მწვრთნელთან. „მე მას ვუთხარი, — განაცხადა ლუჩესკუმ, — რომ შემთხვევით როდი გამოვიყვანე ამ დღეს მინდორზე და ტაშიც დავუკარი".

— მე ჩემს გოლებს „ინტერის ყველა გულშემატკივარს" ვუძღვნი. სწორედ მათი მხარდაჭერა ალმაფრთოვანებს ხოლმე. თუ მატჩებს ჩილელებიც ესწრებიან, იმას ჩემთვის ყოველთვის ბედნიერება მოაქვს. თუკი ყველა მატჩში სამ გოლს გავიტან, თანახმა ვარ ყველა შემთხვევაში მათ სანტიაგო — მილანის ავიაბილეთები ვუყიდო.

— ძალიან მომწონს ბაჯოსა და რონალდოსთან ერთად თამაში. სხვა მოთამაშეების ფონზე ისინი ძალიან გამოირჩევიან. ჩვენ ყველას გაგვაქვს გოლები. ეს ამართლებს ლუჩესკუს, არგუმენტი გახლავთ მისი სამთითასათვის" (ე.ი. სამი ფორვარდით თამაშისათვის). ჩვენმა შეტევითმა პოტენციამ ძალიან იმატა. მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ სამი თავდამსხმელი მთელ გუნდს არ შეადგენს და ყველა ფეხბურთელის მუშაობა სათანადოდ უნდა შევაფასოთ.

სამორანოს მიაჩნია, რომ თუმცა „ინტერის" სატურნირო მდგომარეობა არცთუ მეტად სახარბიელოა, მაგრამ ფეხბურთელებმა რწმენა დაიბრუნეს და თვლიან, რომ თამამად შეუძლიათ იბრძოლონ სკუდეტოს მოსაპოვებლად. საამისოდ ჯერ კიდევ რჩება დრო.

## მოკლედ ნომრიდან – ნომრამდე

● ინგლისის პრემიერ-ლიგის ერთ-ერთმა უძლიერესმა კლუბმა „ლივერპულმა" განიზრახა მილანის „ინტერის" ფეხბურთელის მორიეროს გადაყვანა. ორივე დაინტერესებული კლუბის ხელმძღვანელები 26 იანვარს ლივერპულში შეხვდებიან ერთმანეთს.

● სახელოვანი მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი, რომელიც 1986 წლიდან სათავეში უდგას „მანჩესტერ იუნაიტედს", პროფესიული ფეხბურთიდან თავის შესაძლო წასვლაზე ალაპარაკდა. გაზეთ „მანჩესტერ ივნინგ ნიუსისათვის" მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ 2003 წელს საერთოდ წავა ფეხბურთიდან, თუმცა იქვე დაამატა, რომ ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება უფრო ადრეც მიიღოს. ფერგიუსონი იმედოვნებს, რომ ამ 4 წელიწადში თავისი საქველმოქმედო ფონდისათვის 3 მილიონ გირვანქა სტერლინგს (5 მილიონი დოლარი) შეაგროვებს. ეს ფონდი მან თავისი დედის ხსოვნას მიუძღვნა და სახელად „ელიზაბეთ ჰარდი ფერგიუსონის ფონდი" უწოდა.

● 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის პრეტენზიას სამი ქვეყანა — ესპანეთი, პორტუგალია და კვიპროსი აცხადებენ. უეფას ოფიციალური დელეგაცია არსებული მდგომარეობის შესასწავლად ჯერ ესპანეთში ჩავიდა. ფეხბურთის ჩინოსნებმა უკვე მოინახულეს მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუსა" და „ვისენტე კალდერონის" სტადიონები და კმაყოფილნი დარჩნენ. ამასთანავე, სტუმრებმა უკმაყოფილება გამოთქვეს სარაგოსას „რომარედას" სპორტული სარბიელის მიმართ. ამჟამად მიმდინარეობს ბარსელონას „ნოუ კამპის" ინსპექტირება. ევრო-2004-ის მასპინძელი ქვეყანა ამ ზაფხულს, სახელდობრ უეფას ივლისის აღმასკომზე დასახელდება.

## ქუსლით თამაშის ვირტუოზი

34 წლის რობერტო მანჩინის ასაკი არ ეტყობა — იგი, ისევე, როგორც მთელი უკანასკნელი წლების განმავლობაში, ერთ-ერთი საუკეთესოა იტალიის „სერია A"-ში. მაგრამ არის ერთი ელემენტი, სადაც მანჩინის, ეტყობა, მარტო იტალიაში კი არა, მსოფლიოშიც არა ჰყავს ბადალი. ეს არის ქუსლით თამაში. ყველა აღფრთოვანებაში მოიყვანა მისმა გოლმა „პარმასთან", როცა „ლაციოს" თავდამსხმელმა კართან ზურგით რომ იდგა, ქუსლით გადაგზავნა ბურთი ბადეში.

## ედმუნდოს რა გამოასწორებს

კვირა არ გავა, რომ გამოუსწორებელმა ბრაზილიელმა ედმუნდომ რაღაც არ ჩაიდინოს.

ამ დღეებში ფლორენციაში ედმუნდოს, რომელსაც ვარჯიშზე აგვიანდებოდა, სერიოზული ავარია მოუვიდა. მისი „აპეკარი" მძლავრ ჯიპს დაეტაკა, მძღოლმა ფეხი მოიტეხა, ედმუნდო კი გადარჩა, მაგრამ შოკში აღმოჩნდა.

1995 წლის მიწურულში იგივე ედმუნდოს რიო-დე-ჟანეიროში დიდი ავარია შეემთხვა, რის შედეგადაც დაიღუპა სამი ადამიანი, მათ შორის მისი საცოლეც. თვით ედმუნდოს არაფერი დაშავებია, მაგრამ ამ საქმის გამოძიება ჯერაც არ დამთავრებულა.

ახლანდელი ავარიის შემდეგ ბრაზილიელმა მაინც მიაღწია ბაზამდე, სადაც „ფიორენტინას" ვარჯიში დასასრულს უახლოვდებოდა. მას უნდოდა ტანთ გახდა და სავარჯიშოდ გასვლა, მაგრამ ტრაპატონიმ თავდამსხმელს რომ შეხედა, ყველაფერს მიხვდა და იგი სასწრაფოდ შინ გააგზავნა.

## როცა გადასვლების ვადა ამოიწურა

**15 დეკემბრიდან 15 იანვრამდე ესპანეთში გუნდიდან გუნდში გადასვლების, ახალი მოთამაშეების მოზიდვის თვე იყო. ამ დროით პირველი დივიზიონის ყველა ოცივე კლუბმა კარგად ისარგებლა**

ყველაზე ძვირფასი შენაძენი, მიმომხილველთა აზრით „ბარსელონას" აქვს. ტყუპმა ძმებმა — ფრანკ და რონალდ ბურებმა ახალი სტიმული უნდა მისცენ ესპანეთის ჩემპიონს, რომლის თამაში აქამდე არ იყო დამაკმაყოფილებელი.

მადრიდის „რეალმა" გაყიდა სამი მოთამაშე, მათ შორის საკმაოდ ცნობილი ნახევარმცველი ამავისკა, მაგრამ შეიძინა არგენტინელი მეკარე ბიზარი და იუგოსლაველი თავდამსხმელი ოგნენოვიჩი. ოგნენოვიჩს განიხალავდნენ, როგორც შუკერის შემცვლელს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა, რომელიც, რა თქმა უნდა, ამ გარემოებამაც გაალიზიანა, ახლა აშკარად გაიუმჯობესა საბრძოლო მზადყოფნა. დავუმატოთ ამას მორიენტესის კარგი შედეგიანობაც და შეიძლება იმის თქმა, რომ „რეალის" თავდასხმაში ახლა დიდი კონკურენცია იქნება. ვინ უნდა აირჩიოს მწვრთნელმა რაულს, მიატოვიჩს, შუკერს, იგნენოვიჩსა და მორიენტესს შორის. „რეალის" პრეზიდენტ ლორენცო სანსს შორს მიმავალი გეგმებიც აქვს: მას სურს 17 წლის პარაგვაელ გოლიადორ როკე სანტაკრუსისა და „ბოკა ხუნიორსის" ცენტრალური მცველის ვალტერ სამუელის შეძენაც.

პატარა გალისიურ ქალაქ ვიგოს კლუბ „სელტას" ლიდერობა ესპანეთის ჩემპიონატში თითქმის დაუჯერებელ ამბავს ჰგავს. „სელტა" შეელია მცველ ჯოროვიჩსა და თავდამსხმელ კადეტეს, რომელიც ლისაბონის „ბენფიკაში" გადავიდა, მაგრამ შეიძინა ნახევარმცველი ხორდი კრუიფი, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედში" უქმად იყო. იმის გამო, რომ „სელტას" შუა ხაზი ძალზე მობილურია, შეიძლება კრუიფმა აქაც ვერ მოიკიდოს ფეხი ძირითად შემადგენლობაში.

არიგო საკიმ გააძლიერა მადრიდის „ატლეტიკოს" შუა ხაზი. აქ მოწვეულია ერთბაშად სამი ახალი ნახევარმცველი: გარსია მონტევიდეოს „პენიაროლიდან", სოლარი ბუენოს-აირესის „როვერ პლეიტიდან" და ვენტურინი რომის „ლაციოდან".

მნიშვნელოვნად გაიზარდა „ალავესი". მან შეიძინა მრავალნაცადი სალინასი (იაპონიის „იოკაჰამა მარინოსიდან"), რომელსაც არ დაუკარგავს თავისი საგოლე ალღო, მაღალი კლასის მცველები ბელსუე („სარაგოსადან") და ბერტი („ტოტენჰემ ჰოტსბურიდან"). ამასთან, იტალიელს, რომელსაც ინგლისში არ გაუმართლა, თითქმის დადებული ჰქონდა ხელშეკრულება ბრაზილიურ „ფლუმინენსესთან", სადაც 20 იანვარს დებიუტიც კი უნდა ჰქონოდა, მაგრამ მაინც ესპანეთი ამჯობინა.

ექსპერტების აზრით, აშკარად დაზარალდა ბარსელონის „ესპანიოლი", რომელმაც დაკარგა მცველი დომინგესი (გადავიდა არგენტინის „ველურ სარსფილდში"), ნახევარმცველი ვილია (გადავიდა მექსიკის „ამერიკაში") და თავდამსხმელი ესნაიდერი (გადავიდა ტურინის „იუვენტუსში").

არგენტინის „ინდეპენდიენტეს" მეკარეს, კოლუმბიელ ფარიდ მონდრაგონს ბევრი მიწვევა ჰქონდა ესპანეთიდან, საფრანგეთიდან და შოტლანდიიდან. არგენტინული კლუბი შეეცადა მონდრაგონისათვის გზა გადაეღობა, მაგრამ ბოლოს ყველაფერი კეთილად დასრულდა და მეკარე „სარაგოსაში" აღმოჩნდა, სადაც მისი დებიუტი შეფასდა, როგორც ძალიან კარგი.

ერთ-ერთმა ლიდერმა „მალიორკამ" შეიძინა მცველი პინედა იტალიურ „უდინეზედან".

## თურქმენეთში უყვარს ფეხბურთი

თურქმენეთში, პრეზიდენტმა ნიაზოვმა მკაცრად გააკრიტიკა თურქმენეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის შიხმურადოვი და მისი ვაჟი, კლუბ „კოპეტდაღის" პრეზიდენტი ბაირამ შიხმურადოვი, რომელთაც, ცხადია, გადადგომა მოუხდათ. კრიტიკის მიზეზი იყო ქვეყნის ნაკრების სუსტი გამოსვლა აზიის თამაშების საფეხბურთო ტურნირში.

შიხმურადოვების გადადგომას კიდევ ერთი შედეგი მოჰყვა. ნაკრებთან მუშაობა შეწყვიტა და სამშობლოში დაბრუნდა ცნობილი უკრაინელი სპეციალისტი ვიქტორ პოჟეჩევსკი, რომელიც თურქმენეთში ზაფხულიდან მუშაობდა. ამიერიდან უკრაინელი ფეხბურთელები ბონდარენკო, ზავიალოვი, კისლოვი და სოსნენკო თურქმენეთის ნაკრებში აღარ ითამაშებენ.

## ისევ ბუნდესლიგა ალელვებს?

ჯოვანი ტრაპატონის, რომელიც ახლა დიდი წარმატებით წვრთნის „ფიორენტინას", ეტყობა, გულში ჩაჰყვა, რომ ბუნდესლიგაში დიდი სახელი ვერ მოიპოვა. 1994 წელს „ბაიერნში" მარტივად რომ ვთქვათ, მარცხი განიცადა, მეორედ კი, როცა ამ კლუბს დაუბრუნდა, მისი გა-

ჩემპიონების მიუხედავად, კრიტიკოსებიც ბევრი გამოუჩნდა. იგი ვერ დაეუფლა გერმანულს, ის ჟესტიკულაცია კი, რომელსაც მოთამაშეებთან ურთიერთობისას იყენებდა, ფეხბურთელების, ჟურნალისტებისა და თვით „ბაიერნის" ხელმძღვანელობის სარკაზმს იწვევდა. ფეხბურთელებს, უბრალოდ, არ ესმოდათ, რისი თქმა უნდა მწვრთნელს, საითკენ მოუწოდებს.

ყოველივე ეს „ტრაპს" ცუდად დაამახსოვრდა და „შპორტ ბილდის" კორესპონდენტს განუცხადა: „თუკი ბუნდესლიგაში ჩათვლიან, რომ ტრაპატონი სჭირდებათ, თანახმა ვარ დავბრუნდე".

მართლა ასე იქნება, თუ ტრაპატონი იხტიბარს არ იტეხს, ეს, ცხადია, ნათელი არ არის.

## სად თამაშობენ ბრაზილიელი ვარსკვლავები

ბევრმა ბრაზილიელმა ვარსკვლავმა დატოვა სამშობლო, მაგრამ, ცხადია, უფრო მეტი არ წასულა ევროპაში.

ვნახოთ, რომელ კლუბებში გამოდიან განთქმული ბრაზილიელი ოსტატები. რომარიო და ჟორჟინიო თამაშობენ რიო-დე-ჟანეიროს „ფლამენგოში", მარსელინო კარიოკა, ვამპეტა და დინეი სან-პაულუს „კორინთიანსში", ბებეტო — რიო-დე-ჟანეიროს „ბოტაფოგოში", პელეს ვაჟი, მეკარე ედინიო და ვიოლა — სან-პაულუს „სანტოსში", ვალდირი — „ატლეტიკო მინეიროში", ნაკრების კაპიტანი დუნგა — „ინტერნასიონალში", ფელიპე, დონიზეტე, მაურო გალვანი, ზე მარია რიო-დე-ჟანეიროს „ვასკო და გამაში", ვალდო, მიულერი — „კრუზეიროში".

## ტიერი ანრი – „იუვენტუსში"

ახალგაზრდა თავდასხმელმა ტიერი ანრიმ ჩინებულად კი წარმართა მსოფლიო ჩემპიონატი, მაგრამ შემდეგ აშკარად არ უმართლებდა „მონაკოში". ფიქრობენ, რომ ახალგაზრდა ფრანგს შეიძლება გუნდის გამოცვლამ უშველოს. ახლა ანრიმ ხელი მოაწერა კონტრაქტს ტურინის „იუვენტუსთან", რომელიც 2003 წლის ივლისამდე იქნება ძალაში.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ავსტრალიის ღია პირველობაზე



მელბურნში თანდათან ცხარდება ბრძოლა ჩოგბურთელთა ავსტრალიის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. იგი სხვებთან ერთად, ცხადია, სტატისტიკოსებსაც აინტერესებთ. მათ გამოთვალეს, რომ პიტ სამპრასს, რომელიც შეჯიბრებაში არ მონაწილეობს, რეიტინგ-ლისტში შეიძლება გადაასწროს რამდენიმე მონაწილემ, რა თქმა უნდა, მაქსიმალური წარმატების შემთხვევაში. ეს, ალბათ, მეტად ძნელი იქნება. სამპრასის ჩამოტოვების ყველაზე უკეთესი შესაძლებლობა ჩილელ მარსელო რიოსს ჰქონდა, მაგრამ მან ზურგში ტკივილები იგრძნო და თუმცა მელბურნში ჩავიდა, ბრძოლაში საერთოდ არ ჩაბმულა. თუ ალექს კორეტჯა ნახევარფინალამდე მივიდოდა, იგი ასწრებდა სამპრასს, მაგრამ უკვე გამოეთიშა შეჯიბრებას. პატრიკ რაფტერს საამისოდ ფინალში გასვლა სჭირდებოდა, — ისიც უკვე დამარცხდა. რჩება ანდრე აგასი, მაგრამ მისთვისაც აუცილებელია ფინალში გასვლა.

ვაჟთა ასპარეზობაში მეტი სიურპრიზია, ვიდრე ქალების შეჯიბრებაში. რაც შეეხება უძლიერესი ოსტატების შეხვედრებს, აქ სამი წრის შემდეგ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შვედ თომას ენკვისტის წარმატება, რომელმაც უკვე ორი ავსტრალიელი „გამოიყვანა მწყობრიდან". პატრიკ რაფტერთან მოგების შემდეგ მარკ ფილიპუსისიც დაამარცხა.

ქალთა შორის, იანა ნოვოტნას გარდა, ყველა ფავორიტი ბრძოლას განაგრძობს.

## ჭადრაკი

## კასპაროვის ფენომენური შედეგები

მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვს ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირში პირდაპირ ფენომენური შედეგები აქვს.

მეექვსე ტურით დასრულდა შეჯიბრების პირველი ნახევარი. კასპაროვმა პირველ ტურში ყაიმით დაასრულა შეხვედრა ვასილი ივანჩუკთან, შემდეგ კი ზედიზედ მოიგო 5 (!) შეხვედრა. ყველა ეს გამარჯვება ლამაზი სტილით იყო მოპოვებული, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებო იყო მეტად ეფექტური მოგება ბულგარელ ვესელინ ტოპალოვთან. კასპაროვმა მოიგო დასვენების დღეს გამართული დიდი შეჯიბრება ელვისებურ ჭადრაკში. პრეს-კონფერენციაზე კი განაცხადა, რომ არაერთი ცდის მიუხედავად მაინც ვერ ნახულობს სპონსორს, რათა მოეწყოს მისი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ალექსეი შიროვთან.



კასპაროვს ერთი ქულით ჩამორჩება ვიშვანათან ანანდი, რომელმაც მოიგო სამი პარტია და ამდენივე ყაიმით დაასრულა. მეექვსე ტურში ინდოელმა ყაიმით დაასრულა შეხვედრა ვასილი ივანჩუკთან. მესამე ადგილზეა ვლადიმირ კრამნიკი, რომელმაც უკანასკნელ შეხვედრაში სძლია ალექსეი შიროვს (იგი მაისში პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში დაამარცხა) და 4 ქულა მოაგროვა.

## „ტოტო-ლოტო" – მოთამაშეთა სიხარული!

*24 იანვარს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის მესამე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:

**8. 9. 10. 31. 35. 40.**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – 161.40 ლარი.
4 ციფრი – 13.80 ლარი.
3 ციფრი – 1.30 ლარი.

**„ჯეკ-პოტი" 38 599 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

„სუპერ-7"-ის მომგებიანი ციფრებია: **5. 1. 8. 8. 4. 5. 7.**

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 31 იანვარს, ჯეკ-პოტი **38 599** ლარი.

*ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!*

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

## „სამარანჩი უნდა წავიდეს"

ასე ასათაურებს მიმოხილვას შვედური გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი": „ – ოლიმპიური მოძრაობა ველარ განვითარდება, სანამ სეოკის ახლანდელი პრეზიდენტი არ გადადგება".

სამარანჩის გადადგომა მოითხოვა რენე პაკემ, რომელიც სათავეში უდგას 2002 წლის ოლიმპიადის კვებეკში ჩატარების კომიტეტს. შვედებისა და კანადელების ასეთი აქტიურობა იმან გამოიწვია, რომ 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩატარების უფლებისათვის ბრძოლაში სოლტ-ლეიკ-სიტიმ აჯობა შვედურ ესტერსუნდსა და კანადურ კვებეკს. ორივე ქალაქი მოითხოვს იმ მილიონების დაბრუნებას, რომელიც მათ ოლიმპიადისათვის სამზადისში დაეხარჯათ, რადგან ბრძოლა ასპარეზობის ჩატარების უფლებისათვის პატიოსნად არ წარიმართა.

## რა ხდება ქვეყანაზე

## ბორის არკადიევსაც დაჰყავდა ფეხბურთელები მუზეუმში, მაგრამ...

პრესაში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ სერია „A"-ს ლიდერის „ფიორენტინას" მთელ შემადგენლობას უფიცის გალერეაში დაუთვალიერებია მსოფლიო ფერწერის შედევრები, რომელთა უმრავლესობა შექმნილია ბიბლიურ თემებზე, რასაც ფეხბურთელებზე სასწაულმოქმედი გავლენა უნდა მოეხდინა და ტილოებზე აღბეჭდილ ოსტატთა ნახელავს საბრძოლველად და საგმირო საქმეებისათვის უნდა განეწყო ისინი. განსაკუთრებით დიდხანს შეჩერებულან მოთამაშეები მიქელანჯელოს გენიალური ქმნილების „წმინდა ოჯახის" წინ...

რამდენად მოახდენს ხელოვნება ფეხბურთელებზე გავლენას, ეს სერია „A"-ს თამაშებში გამოჩნდება. სხვათა შორის, ფეხბურთელების საბრძოლველად განწყობისათვის საგამოფენო დარბაზებსა და მყუდრო მუზეუმებს ხშირად მიმართავდა მოსკოვის ცსკა-ს (იგივე ყოფილ ცდკა-ს) ორმოციანი და ორმოცდაათიანი წლების მთავარი მწვრთნელი ბორის არკადიევიც, მაგრამ გამარჯვებებში, რომელსაც არმიელთა გუნდი იმხანად აღწევდა საკავშირო ჩემპიონატის გათამაშებაში, ჰრა გვგონია, რომ წარმატებაში ხელოვნებასაც ედო რაიმე წილი, ვინაიდან, ფეხბურთელები ამ თამაშისწინა „განწყობის საათისათვის" კარგა შეზარხოშებულნი იყვნენ.

და ამას ისინი შემდეგნაირად ახერხებდნენ: სასადილოს მიმტანი მეგობარი ქალები მათ „მდგომარეობაში შედიოდნენ" და „წყურვილის" მოსაკლავად, არსენას „სირაჯ-მიკიტნისა" არ იყოს – სალდათებს ოტკა ეგონათ, ჩუმად რომი ჩაუშვესა", ხომ გახსოვთ, ჰოდა, წყლის გრაფინში, ჩუმად „პილატეს ცრემლი" იყო ჩაშვებული. ფეხბურთელები ისე გათავხედდნენ, რომ „ჭიქა წყლით" თვით მწვრთნელსაც „ადღეგრძელებდნენ" შორიდან...



ამის შემდეგ, ისინი კი მიდიოდნენ გამოფენაზე, მაგრამ მწვრთნელის კითხვებს

– ნიკოლაევ, როგორ მოგწონს ლევიტანის პეიზაჟი, – გაბრუებული ფეხბურთელი თავშეკავებით პასუხობდა: – რა უშავს. იგივე რეაგირება მოჰყვებოდა შემდეგ სურათთან შეჩერებულს რომ ჰკითხავდა არკადიევი

– როგორ მოგწონს შიშკინი, ჰა?..

როგორც ითქვა, ცსკა იმ წლებში კი იმარჯვებდა, მაგრამ არა ხელოვნების ძალით!

**მოამზადა უშანგ ჭიჭინაძემ**





26 იანვარი, სამშაბათი
*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* საფეხბურთო მიმოხილვა (16.15). „ასპარეზი" (21.00). *იბერია.* „ბურთი და მოედანი". (9.00; 19.25). *კავკასია.* „ვარსკვლავები" (17.45). *საქართველოს ხმა.* სპორტული პროგრამა (19.45). *რუსეთის ტელევიზია. ОРТ-1.* საფეხბურთო მიმოხილვა (12.30). ფეხბურთი „თანამეგობრობა-99". *АСТ.* „სპორტი ყოველდღე" (15.00; 22.40). *НТВ плюс спорт.* ჭადრაკის გაკვეთილი (8.05; 16.10). ჭადრაკი. სუპერტურნირი (9.30). ჰოკეი (10.10). ამერიკული ფეხბურთის ფან-კლუბი (14.05). ძიუდო (16.55). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (20.30; 0.30). ბადმინტონი (23.15). ბილიარდი (1.10). *ESPN.* კრივი (0.00). სათხილამურო სპორტი (0.30). სპორტული ცენტრი (1.00; 3.30; 11.10; 17.30). კალათბურთი (4.30). კრიკეტი (7.20; 21.00). ბილიარდი (15.30; 21.30). ჰოკეი (23.30). *EUROSPORT.* ჩოგბურთი (16.00; 20.00. 2.00). ფიგურული ციგურაობა (18.00; 1.30).

27 იანვარი, ოთხშაბათი
*საქართველოს ტელევიზია.* „ბურთი და მოედანი" (9.00; 19.25). *კავკასია.* „ვარსკვლავები" (17.45). *საქართველოს ხმა.* სპორტული პროგრამა (19.55). *რუსეთის ტელევიზია. ОРТ-1.* ფეხბურთი. „თანამეგობრობა-99". ნახევარფინალები (20.50; 0.45). *РТР.* ფიგურული ციგურაობა. ევროპის ჩემპიონატი (0.10). *REN TV.* „სპორტკურიერი" (21.45; 0.30). *АСТ.* „სპორტი ყოველდღე" (15.00; 22.40). *НТВ плюс спорт.* მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (8.05; 16.10). ბილიარდი (9.05). ჭადრაკი. სუპერტურნირი (9.30). ესპანეთის და იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა (10.10; 22.45). სტენლის თასის რეტროსპექტივა (13.10). ჰოკეი (19.20; 22.15; 1.10). *ESPN.* ზამთრის სპორტის სახეობები (2.00). ცხენოსნობა (2.30). სპორტული ცენტრი (3.30; 11.00). კალათბურთი (4.30; 6.30). კეტბურთი (8.30). კრიკეტი (14.30; 17.30). მოტოსპორტი (18.00). ფეხბურთი (18.30; 21.00). მარათონი (20.30). ბილიარდი (21.30). *EUROSPORT.* თხილამურები (13.00). ჩოგბურთი (14.00; 16.00; 2.00). ფიგურული ციგურაობა (21.30; 1.30). მოტოსპორტი (3.00).

28 იანვარი, ხუთშაბათი
*საქართველოს ტელევიზია. იბერია.* „ბურთი და მოედანი" (9.00; 19.25). *კავკასია.* „ვარსკვლავები" (17.45). *საქართველოს ხმა.* სპორტული პროგრამა (20.05). *რუსეთის ტელევიზია.* ფიგურული ციგურაობა (0.15). *ТВ цетр.* ცხენოსნობა (12.15). *REN TV.* „სპორტკურიერი" (21.45; 0.40). *АСТ.* „სპორტი ყოველდღე" (15.00; 22.40). *НТВ плюс спорт.* სამთო თხილამურების გაკვეთილი (8.05; 16.10). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (9.05). ჰოკეი (10.10; 12.30). მაგიდის ჩოგბურთი (13.35). ზამთრის ექსტრემალური თამაშები (16.25). ლათინოამერიკული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა (20.35). მოტოსპორტი (21.00). პროფესიონალური კრივი. ტაისონი – ბოტა (22.15). ჭადრაკი (1.25). *ESPN.* სპორტული ცენტრი (1.30; 3.30). კალათბურთი (4.00; 6.00). კრიკეტი (8.00; 11.00; 21.00). ბილიარდი (16.00; 23.00). *EUROSPORT.* ჩოგბურთი (13.00; 20.30; 2.00). ფიგურული ციგურაობა (16.30; 21.30; 1.30). ავტოსპორტი (3.00). სნოუბორდი (3.30).

29 იანვარი, პარასკევი
*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* „ასპარეზი" (22.30). *II არხი.* რაგბი (21.00). *იბერია.* „ბურთი და მოედანი" (9.00; 19.25). *კავკასია.* „ვარსკვლავები" (17.45). *საქართველოს ხმა.* სპორტული პროგრამა (20.00). *რუსეთის ტელევიზია. ОРТ-1.* „თანამეგობრობა-99". საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირის ნახევარფინალები (19.50; 0.50). *ТВ цетр.* „ფეხბურთი დიალოგებში" (12.00). *REN TV.* „სპორტკურიერი" (21.45). *АСТ.* „სპორტი ყოველდღე" (15.00; 22.40). *НТВ плюс спорт.* ჰოკეის გაკვეთილი (8.05; 16.10). ჭადრაკი (9.15; 0.30). ლათინოამერიკული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა (10.10). ჰოკეი (10.35; 20.30; 22.15). ფეხბურთი (13.35). ბოულინგი (15.00). მოტოსპორტი (16.25). წყალბურთი (17.25). ტაილანდური კრივი (18.45). თხილამურები (19.30; 1.10). *ESPN.* კრიკეტი (1.00; 7.30, 8.30; 10.30; 11.10; 18.00; 19.00; 21.00). თხილამურები (2.00). ბილიარდი (2.30). სპორტული ცენტრი (3.30). ფეხბურთი (6.30; 16.00). ჰოკეი (23.00). *EUROSPORT.* ჩოგბურთი (13.00, 20.00; 2.00). ფიგურული ციგურაობა (17.00; 21.30). ექსტრემალური სპორტი (3.00). სნოუბორდი (4.00).

30 იანვარი, შაბათი
*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* მიხეილ მესხის გახსენება (22.45). *II არხი.* „ავტოსპორტი" (20.00). *იბერია.* „ბურთი და მოედანი" (9.00; 19.25). *კავკასია.* „ვარსკვლავები" (17.45). *საქართველოს ხმა.* სპორტული პროგრამა (19.45). *ევრიკა.* „სტუმარი" (19.45). *რუსეთის ტელევიზია. ОРТ-1.* სპორტის სიახლეები (0.30). *РТР.* ფიგურული ციგურაობა (15.35; 1.05). *НТВ.* ჰოკეი (14.00). *ТВ цетр.* „ფეხბურთი დიალოგებში" (15.15). ჰოკეი (20.00). *АСТ.* სპორტი (23.00). *НТВ плюс спорт.* მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (10.35; 16.10). ჭადრაკი (10.50). მოტოსპორტი (13.25). ჰოკეი (16.25). ამერიკული ფეხბურთი (19.20). ფიგურული ციგურაობა (20.00). „დიდი რინგი" (22.00). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (23.55). ჭადრაკი (1.50). *ESPN.* მოტოსპორტი (2.00). ბილიარდი (2.30). სპორტული ცენტრი (3.30). კალათბურთი (4.30). ფეხბურთი (5.00; 23.00). ჩოგბურთი (7.00; 18.30). კრიკეტი (7.30; 8.20; 10.30; 11.10; 16.00; 21.00). ჭიდაობა. ჩემპიონატი ქალთა შორის (17.00). რაგბი (23.30). *EUROSPORT.* თხილამურები (13.00; 20.30). ბობსლეი (13.45; 20.00). ჩოგბურთი (14.30). ფიგურული ციგურაობა (16.30; 23.00). სპორტული ცეკვა (1.00). კრივი (3.00).

31 იანვარი, კვირა
*საქართველოს ტელევიზია. II არხი.* „სუპერმატჩი" (20.35). *რუსთავი-2.* სპორტული პროგრამა (20.30). *იბერია.* „ბურთი და მოედანი" (9.00). *კავკასია.* „ვარსკვლავები" (18.00). *საქართველოს ხმა.* სპორტული პროგრამა (20.15). *ევრიკა.* „კვირის სპორტი" (17.30). *რუსეთის ტელევიზია. ОРТ-1.* ფეხბურთი. „თანამეგობრობა-99". ფინალი (15.55). საფეხბურთო მიმოხილვა (0.25). *РТР.* ფიგურული ციგურაობა (19.00). *НТВ.* „ა. კარპოვი – გულახდილი მოსაუბრე" (16.30). *ТВ центр.* ჰოკეი (19.25). *REN TV.* ფეხბურთი. ინგლისის პრემიერ-ლიგის მატჩი (16.30). *АСТ.* „სპორტი" (23.00). *НТВ плюс спорт.* ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (10.55). მოტოსპორტი (13.25). ჭადრაკი (16.10). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (17.25). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (19.55). ჰოკეი (22.55). ჭადრაკი (1.30). ტაილანდური კრივი (2.00). ამერიკული ფეხბურთი (2.55). *ESPN.* ფეხბურთი (0.00; 16.00; 23.00). სპორტის აქტიური სახეობები: ზამთრის თამაშები (2.00). სპორტული ცენტრი (3.30; 18.30). ჰოკეი (4.00). ჩოგბურთი (7.00). ჰოკეი (4.00). კრიკეტი (7.30; 8.20; 10.30; 11.10; 21.00). *EUROSPORT.* თხილამურები (13.00; 20.30; 3.15). ბობსლეი (13.45; 22.00). ჩოგბურთი (14.30). თხილამურები (17.30). ფიგურული ციგურაობა (18.00). კრივი (1.00). სპორტული ცენტრი (1.00) ფეხბურთი (2.15).

**თარაზულად:** 5. „ფრაიბურგის" ქართველი ფეხბურთელი, 7. ფეხბურთში 1980 წლის ევროპის ვიცე-ჩემპიონი, განაპირა მცველი, 8. პირველი ქართველი პროფესიონალი მოკრივე, 11. ნიგერიელი ფეხბურთელი, შოთა არველაძის თანაგუნდელი, 14. „ოლიმპიკისა" და საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 15. ცსკა-ს ბელარუსი კალათბურთელი, 16. მეტოქის ყურზე მონადირე მოკრივე, 17. 90-იანი წლების შვედი ფეხბურთელის ლიმპარის სახელი, 20. ბულგარეთის საფეხბურთო ნაკრების ცენტრალური მცველი, 22. „სკუადრა აძურას" ფორვარდი, 23. „გლაზგო რეინჯერსის" გერმანელი მეკარე, 26. ურუგვაის საფეხბურთო კლუბი, 27. წარსულში ნიუ-იორკის „კოსმოსის" იტალიელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 28. ახლო წარსულში სოხუმის „ცხუმის" მცველი, ამჟამად საფეხბურთო მწვრთნელი.

**თარაზულად:** 1. ქალაქი, სადაც გაიმართა 1998 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის კენჭისყრა, 2. თურქეთის საფეხბურთო კლუბი, 3. ბელგიის საფეხბურთო კლუბი, 4. ესპანეთის მეორე დივიზიონის საფეხბურთო კლუბი, 6. ქალაქი, რომლის ღირსებასაც იცავს „ვერდერი", 9. „იუვენტუსის" ახლად შეძენილი არგენტინელი ფეხბურთელი, 10. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 12. თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელი, 13. „ბარსელონას" ახალგაზრდა ნიგერიელი ფეხბურთელი, 18. ნბა-ს კლუბი, 19. „ჩიკაგოდან" „ჰიუსტონში" გადასული კალათბურთელი, 21. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 24. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 25. წარსულში ყირგიზეთის საფეხბურთო კლუბი.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ეb6!
1. ...მფd5 2. ე:f5X.
1. ...მფf6 2. ლ:f5X.
1. ...მფf4 2. ლe3X.
1. ...c4 2. ლ:d4X.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. აიგნერი, 7. „ბოლტონი", 8. ონიშჩენკო, 11. „ოსერი", 12. შირკო, 13. კროლი, 16. სუტერი, 17. პროსტი, 21. ამორი, 22. სტამი, 23. სროლა, 26. ესნაიდერი, 27. სნუკერი, 28. ასანიძე. **შვეულად:** 1. ჰინგისი, 2. „ბრანი", 3. ცორკი, 4. ანატოლი, 6. კუჩერა, 9. ბრაიტნერი, 10. ტრანსფერი, 14. ბორგი, 15. „ბორდო", 18. „ამირანი", 19. შანიძე, 20, ალახაძე, 24. ისარი, 25. კროსი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე